ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 4 აპრილი, 2019 №79 (8033) ფასი: 60 თეთრი

გვ.4

ეკა გიგაური: „სააკაშვილმა და წინა ხელისუფლებამ აღიარონ, რომ რაც ხდებოდა, დანაშაული იყო“

2 აპრილიდან

ჰანს ქრისტიან ანდერსენი

რჩეული ზღაპრები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ინგუშეთი საქართველოს შემადგენლობაში შესვლას ითხოვს“

გვ.2

ზაალ კასრელიშვილი: „მაგასში მიმდინარე აქციები კავკასიაში ბევრ რამეს შეცვლის“

გია ხუხაშვილი: „სააკაშვილი თავის კარიერას დღეს საქართველოს არ უკავშირებს“

გვ.3

რა გარიგება შედგა გიორგი გახარიასა და ზვიად სიჭინავას შორის

გვ.4



ადა მარშანია თამარ ჩუგოშვილს ემზარ კვიციანის გამო ეჩხუბა

გვ.6

სამართალი გვ.7

კაბუ საფრანგეთის ციხიდან გამოუშვეს

მას ქვეყნის დატოვების უფლება არ აქვს

„ვახუშტი მენაბდე იგინებოდა და ილანძღებოდა უშვერი სიტყვებით“

რა წერია პოლიციის ოქმში

„დაიჭირეს, შეათრიეს შიგნით, გახეთქეს ცემაში, დააბეს, ფულს სთხოვდნენ“

ნიღბიანებმა გლდანში ბინა გაძარცვეს

ეკონომიკა გვ.6

ყოველ ხუთშაბათს „ნიკორა სუპერმარკეტი“ „ლიბერთი ბანკის“ სოციალური ბარათის მფლობელებს უპრეცედენტო ფასდაკლებას შესთავაზებს

ბარელი ნავთობის ღირებულება 96 ცენტით გაიზარდა

ლაშა პაპაშვილი: „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საყურადღებოა ეროვნული და კომერციული ბანკებისთვის“

შენობებში, სადაც ჭკვიანი სენსორების სისტემაა დამონტაჟებული, კომუნალური დანახარჯი 20-დან 30%-მდეა შემცირებული

ISSN 1987-9385

5 ქენევის მოლაპარაკებებზე ირაკლი კვარაცხელიას ფაქტზეც იმსჯელებენ

5 გია გვაზავა: „რუსეთს უნდა, საქართველოს არასოდეს ჰქონდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე პრეტენზია“

7 პატიმრების რაოდენობით საქართველო ევროპაში მეორე ადგილზეა

8 ტიმოშენკო ზელენსკის მხარს არ დაუჭერს

„ინგუშეთი საქართველოს შემადგენლობაში შესვლას ითხოვს“

ზაალ კასრელიშვილი: „მაგასში მიმდინარე აქციები კავკასიაში ბევრ რამეს შეცვლის“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება ინგუშეთში, აქვთ თუ არა უფლება ინგუშებს, შეუერთდნენ საქართველოს, დაკარგავს თუ არა კრემლი კავკასიას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი:

– კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის, კავკასიურ დიასპორათა ევროპული წარმომადგენლობის და კავკასიის სახალხო ფორუმის სახელით მინდა, ინგუში ხალხის მიმართ მხარდაჭერა გამოვხატო. უფლებამოსილი ვარ მათ ვუთხრა – ძმებო ინგუშებო, თქვენ მეორედ გააკვირვეთ ცივილიზებული სამყარო თქვენი პოლიტიკური სიმწიფით და დიპლომატიით.

სადავო მიწების თემით კრემლმა უკვე მეორედ სცადა ინგუშების და ჩეჩნების გადაკიდება. მადლობა ღმერთს, ინგუშები ორჯერვე მობილიზებული აღმოჩნდნენ და პროვოკაციას არ წამოეგნენ. ისინი ჩეჩნებს კი არ დაუპირისპირდნენ, არამედ კრემლს ინგუშეთის ხელისუფლების გადაყენება მოსთხოვეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, შემკვეთისგან შემსრულებლის დასჯა მოითხოვეს. ამით ორივე ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს.

ინგუშეთის დედაქალაქ მაგასში მიმდინარე აქციებმა აჩვენა, თუ რა დიდებული ინტელიგენცია ჰყოლიათ ინგუშებს.

– ჩვენი ინტელიგენციისგან განსხვავებით, ინგუშეთის ინტელიგენცია ყოველთვის ხალხის და ქვეყნის სადარაჯოზე დგას.

– ეს ამ დღეებში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა. ისინიც კი ხალხის მხარეს დადგნენ, ვინც წითელ ინტელიგენციად მიაჩნდათ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ თავისუფლების იდეის გარშემო ერთ მუშტად შეკრეს ქართველობა, რამაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა.

კრემლი და ის ქვეყნები, რომლებსაც კავკასიაზე გავლენების მოპოვება სურდათ და ახლაც სურთ, ქართველების გაერთიანებით ძალიან შეშინდნენ.

– რატომ შეშინდნენ?

– ისტორიულად ცნობილია, როცა ქართველები ერთად ვიდექით, ცხვირ-პირს ვუნაყავდით ყველას. კიდევ ვინმესთვის რომ არ დაგვენაყა ცხვირ-პირი, გათიშე და იბატონეს ტაქტიკა ამუშავდა და ქართველები ერთმანეთს გადაკიდეს.

სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ომები რომ გამოგვატარეს, ამის შემდეგ გადაწყვიტეს ჩვენთვის ზურგიც მოეშალათ და ჩრდილოეთ კავკასიისთვის ევროპისკენ მიმავალი გზა გადაეკეტათ.

ასევე სცადეს ქართველების გადაკიდება ჩეჩნებთან და ინგუშებთან, რაც ნაწილობრივ გამოუვიდათ.

– ჩეჩნები გადაგვკიდეს. ინგუშები ვერა.

– ინგუშები იმიტომ ვერ გადაგვკიდეს, რომ ეს ხალხი ყოველთვის პოლიტიკური სიმწიფით გამოირჩეოდა. ისინი პატივს სცემენ სახალხო დიპლომატიას და სხვის შეცდომებზე სწავლობენ.

რამდენიმე დღის წინ კრემლმა მეორედ სცადა ინგუშების და ჩეჩნების გადაკიდება. მაგასში მიმდინარე აქციის მონაწილეებს ძალოვნები შეუსიეს. ერთ-ერთმა ინგუშურმა ქვედანაყოფმა დარბევაზე უარი თქვა და ხალხის მხარეს გადავიდა. ამის შემდეგ კრემლმა მაგასის ცენტრში პროვოკატორები გააგზავნა. მათ აქციის მონაწილეებს რაღაცები ესროლეს. მათ ვალში არც აქციის მონაწილეები დარჩნენ.

ამ ინციდენტის მეორე დღეს უხუცესებმა აქციაზე ახალგაზრდები აღარ გამოუშვეს და თავად დადგნენ რესპუბლიკის მთავარ მოედანზე. ამით ახალგაზრდულ ვნებებსაც გადაეფარნენ და წინა დღის გამოხდომებიც გადაფარეს. თან კრემლს უთხრეს, ტერიტორიების ხელყოფას ჩვენ ვეწინააღმდეგებით და ახალგაზრდების ხულიგნურ გამოხდომებზე აქცენტს ნუ აკეთებთ, ამის გამო აქ ჯარს არ შემოგაყვანინებთო.

– ინგუშეთის ახლანდელი მეთაური რუსეთის დავალებების შემსრულებელია. ის რუსული არმიის გენერალია და ალბათ მისთვის წმინდაა კრემლის მიცემული დავალება. რუსული არმიის გენერალი იყო ინგუშეთის პირველი პრეზიდენტი რუსლან აუშევიც, მაგრამ ის ინგუშების წინააღმდეგ არასდროს წასულა. რატომ ვერ ახერხებს ამას ევკუროვი?

– აუშევი ჩვეულებრივი გენერალი არ არის, ის საბჭოთა კავშირის გმირია. იუნუს ბეკ ევკუროვიც დამსახურებული სამხედრო მოღვაწეა. არარუსს და, მით უმეტეს, კავკასიელს, გენერლის და გმირის წოდება რომ მიეღო, მინიმუმ ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე სამხედრო პირი როგორც სიმამაცით, ასევე ტაქტიკით.

– რატომ გგონიათ, რომ კავკასიელებს გენერლობას არ აძლევდნენ, ოსებს ძალიან მარტივად ანიჭებდნენ გენერლობას. საბჭოთა კავშირის გმირები ოხრად ჰყავთ, ზოგიერთი ორგ ზის გმირადაც კი გამოაცხადეს.

– ოსებს და სომხებს მართლა იოლად აძლევდნენ გენერლობას, მაგრამ ეგენი კავკასიელები არ არიან. ორივე ეთნოსი მოგვიანებით დასახლდა კავკასიის ტერიტორიაზე.

ოსების მიმართ რუსებს ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ვლადიკავკაზი ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქად მაშინ გამოაცხადეს, როცა იქ სულ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა. ძირითადად მოსახლეობას ინგუშები, ქართველები და მოხევეები შეადგენდნენ.

– მოხევეები ქართველებში არ გადიან?

– როგორ არ გადიან. მინდოდა მეთქვა, რომ ქართველებიდან მოხევეები სახლობდნენ ძირითადად. ოსებზე მეტნი იყვნენ მთიულებიც. ვიღაცას შეიძლება აღარ ახსოვს საქართველოს ისტორია და მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ გვიან პერიოდამდე ლარსი, ჩიმი და ბალთა საქართველოს ტერიტორია იყო.

ვაკონტროლებდით რა ამ დასახლებულ პუნქტებს, ქართველები და ინგუშები პირდაპირ ესაზღვრებოდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება აუშევს და ევკუროვს, მათი შეფასებებით მკითხველს არ დავღლი, უბრალოდ, ერთ კითხვას დავსვამ – შევარდნაძეც ქართველი იყო და მერაბ კოსტავაც. ერთმა საქართველოს შესწირა თავი, მეორემ – არა. ასე არიან აუშევი და ევკუროვი.

ევკუროვი ხომ რუსეთის დავალებების შემსრულებელია, მაგრამ ამ დროს მისი ალალი ბიძაშვილები მაგასში მიმდინარე საპროტესტო აქციების ლიდერები იყვნენ.

– რა კარგი ბიძაშვილები ჰყოლია ამ ცუდ კაცს.

– სასწაული ხალხი გამოდგა ეს ინგუშები, მთელი მსოფლიო გააოგნეს. სულ რაღაც 500.000 არიან, დამოუკიდებლები არასდროს ყოფილან და ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ამხელა პოლიტიკური კულტურა ექნებოდათ. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წამყვანი პოლიტოლოგები აღფრთოვანებით აღნიშნავენ, რომ მცირერიცხოვანმა ინგუშებმა კრემლს ჭადრაკი ეთამაშეს და რამდენიმე დღეში საყაიმო შეუქმნესო.

თავისი მოსაზრებები მეც გამიზიარეს და მეკითხებოდნენ, სად ისწავლეს ასეთი პოლიტიკური კულტურა. სიმამაცით ვუთხარი, რომ ამას ოქსფორდში ვერ ასწავლი ადამიანს, უბრალოდ, გულწრფელად უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, ღირსების გრძნობა უნდა გქონდეს და სამართლიანი იყო მსჯავრში.

იმ დღეებში ახალგაზრდებს რაღაც შეეშალათ, მაგრამ გამოვიდნენ უხუცესები, კრემლს სერიოზულად გაურჩიეს საქმე და უკანაც დაახევინეს.

– კრემლის გარდა ჩეჩნეთის მეთაურ კადიროვსაც კარგად გაურჩიეს საქმეები.

– საქმეებიც გაურჩიეს და უკანაც დაახევინეს. ამ ამბების მერე მას ძალიან ცუდად აქვს საქმე და შეიძლება სიტუაცია აუყიროვდეს.

– ჩეჩნეთში კადიროვის წინააღმდეგ დაიწყება გამოსვლები?

– ჩეჩნეთში, გასაგები მიზეზების გამო, კადიროვის წინააღმდეგ გამოსვლები ვერ დაიწყება, მაგრამ ჩეჩნეთის გარეთ მცხოვრები ჩეჩნები უკვე ღიად გამოხატავენ კადიროვის მიმართ პროტესტს.

მაგასში მომხდარის შემდეგ, კრემლის მეხოტბე პოლიტიკოსებიც კი დადუმდნენ, ისინიც ვერაფერს ამბობენ. ისინიც აღფრთოვანებული არიან.

– ინგუშებმა მაგარი რამე გააკეთეს და ამით რუსებიც კი აღაფრთოვანეს. ჩვენმა პოლიტიკოსებმა ერთი განცხადება მაინც რატომ არ გააკეთეს. დავიჯერო, ერთი პოლიტიკოსი ქალის სექსუალური თავგადასავალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენს საზღვრებთან მიმდინარე პროცესები?

– პოლიტიკური სიმწიფე გვაკლია და რატომ გიკვირთ, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ნახვა უფრო საინტერესოა ვიღაცებისთვის.

ინგუშეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ერთი კი არა, ათასი განცხადება უნდა გაკეთებულიყო საქართველოში. ქართველ პოლიტიკოსებს კრემლისთვის პირდაპირ უნდა ეთქვათ, რომ თუ მომძე ინგუშეთში სისხლს დაღვრით, ჩვენგანაც მიიღებთ პასუხს. უნდა ეთქვათ, ცოტანი ვართ, მაგრამ ჩვენს ძმებს მაინც დავიცავთ.

– ინგუშებს ჩვენგან დაცვა ნამდვილად ეკუთვნის. მათ აფხაზეთსა და ცხინვალში მიმდინარე საომარ მოქმედებებში ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაზე ოფიციალურად და საჯაროდ თქვეს უარი. ჩვენ წინააღმდეგ ერთადერთი ინგუში მონაწილეობდა, ეს ევკუროვი იყო. ის საკუთარი ხალხის სისხლის დასაღვრელად არის მზად და რა გასაკვირია, რომ ჩვენ წინააღმდეგ აიღო ხელში იარაღი.

– განცხადებები საქართველოს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც უნდა გაეკეთებინა. დასავლეთმა რაღაც ნაბიჯები უკვე გადადგა. ინგუშების გამო კრემლისთვის პირდაპირ არ დაურტყამთ, მაგრამ რუსებს ამბავი გამოუგზავნეს, პუტინის 200 მილიარდს მივაგენითო.

კავკასიაში ეს პროცესები აღარ გაჩერდება. მაგასში მიმდინარე პროცესები ჩვენს რეგიონში ბევრ რამეს შეცვლის.

ევკუროვთან დაკავშირებით საინტერესო ამბავი მინდა გითხრათ. რამდენიმე თვის წინ საქართველოში მისი ახლო ნათესავები იყვნენ ჩამოსულები. ისინი თავიანთი გვარის წარმომავლობის დადგენას ცდილობდნენ. ამ ძიებაში გაარკვიეს, რომ მათ ქართველი ნათესავები ჰყოლიათ.

მალე ყველაფერი შეიცვლება და იუნუს ბეკ ევკუროვი ინგუშეთში ფეხს ვეღარ ჩაადგამს.

მინდა თქვენს მკითხველს გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურული გავახსენო. ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ამ პერიოდში დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.

ამ მოძრაობას სათავეში ისა ქოძოევი და იდრისოვი ჩაუდგნენ. მათი დახმარებით ჩავიდა გროზნოში ჯოხარ დუდაევი.

დარწმუნებული ვარ, რომ ინგუშები მიწებსაც შეინარჩუნებენ და ევკუროვსაც მშვიდად გაისტუმრებენ.

– წლების წინ ინგუშებმა ასევე გაისტუმრეს ევკუროვის წინამორბედი ზიაზიკოვი, ისიც კრემლის ყურმოჭრილი ყმა იყო.

– ზიაზიკოვი მშვიდობიანად გაისტუმრეს. მაშინაც პოლიტიკური სიმწიფე გამოიჩინეს და არასასურველი პერსონა წელსქვევით დარტყმების გარეშე გაუშვეს.

– ინგუშებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი, ბოლო მოვლენების მერე კიდევ უფრო დავაფასე ეს ხალხი. რუსეთის იმპერიაში ცხოვრობენ, ჩვენზე ბევრად მცირერიცხოვანნი არიან და კრემლის ნებას არ დასდევენ. ჩვენ რამ დაგვაჩიავა ასე, რომ რუსული ოკუპაციის გაპროტესტებასაც ვერ ვბედავთ.

– რამ დაგვაჩიავა და ომებმა, რაც ჩვენ გადავიტანეთ. სამოქალაქო ომმა დიდი დაღი დაგვასვა ქართველებს. ამიტომაც ვიკავებთ ალბათ თავს. თან კეთილმოსურნეებმა ერთმანეთთან დაგვაპირისპირეს და ერთად დადგომას ვეღარ ვახერხებთ. იმედს არ ვკარგავ, რომ ჩვენც ვიტყვით ჩვენს სათქმელს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველო ინგუშებისთვის მაინც მისაბაძი ქვეყანაა. იმ აქციაზე გაჟღერდა, რომ ინგუშეთი საქართველოს უნდა შეუერთდეს.

– ბევრმა ეს პროვოკაციად ჩათვალა.

– რატომ არის ეს პროვოკაცია. ინგუშებს სრული უფლება აქვთ, რომ საქართველოს შემადგენლობაში შესვლა მოითხოვონ. 68.000 აფხაზს და 34.000 ოსს თუ აქვს თვითგამორკვევის უფლება, 500.000 ინგუშს და 1.500.000 ჩეჩენს რატომ არ უნდა მიეცეს ამისი შანსი?!

თან ერთი რამეც გაითვალისწინეთ, ოსების და აფხაზებისგან განსხვავებით, ინგუშები და ჩეჩნები აბორიგენი მოსახლეობაა და თავიათ მიწაზე ცხოვრობენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი: „სააკაშვილი თავის კარიერას დღეს საქართველოს არ უკავშირებს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალზე საუბრობს.

– ბატონო გია, თქვენ რა მესიჯები წაიკითხეთ მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუდან. რა თქვა მან ახალი, რომლის მოსმენაც უნდოდათ ჩვენს მოქალაქეებს?

– მისი აქცენტები განსაკუთრებული სიახლე არ იყო. სხვადასხვა ინტერპრეტაციებით ამაზე მას არაერთხელ უსაუბრია.

მე მჯერა, რომ არც ერთ თანამდებობას არ დაიკავებს, თუმცა, ის კონფიგურაცია თუ დალაგდა, რაზეც ის ოცნებობს, მას პროცესებზე უპირობო გავლენა ექნება. ეს სავსებით ცხადია. ამ გზავნილებით ცდილობს, რომ საზოგადოებას განცდა გაუჩინოს, რომ განსაკუთრებული ვენდეტა არ მოხდება და ადამიანებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ მისი დაბრუნების შემთხვევაში.

– მან იცის მისდამი ამომრჩევლის დამოკიდებულება და ამიტომაც აკეთებს ამ განცხადებას?

– რასაკვირველია. ზუსტად ამას ამბობს. მან იცის, ანტიმიშა რა კატეგორიის ხალხია. ეს არის ის ხალხი, ვისაც არც სააკაშვილი უნდა ხელისუფლებაში და არც ივანიშვილი. სააკაშვილი გვეუბნება – მე თანახმა ვარ, გავიდე პოლიტიკიდან, თუ ივანიშვილიც გავა. ჭადრაკის დაფაზე ეს ორი ფიგურა ნახეთ, როგორ თამაშობენ – ერთმანეთით იკვებებიან და ამით იხანგრძლივებენ პოლიტიკურ არსებობას, ძალაუფლებას. სააკაშვილი გვეუბნება, თანახმა ვარ, გავიდე, თუ ივანიშვილიც გავა. ამის საწინააღმდეგო, სიმართლე გითხრათ, არაფერი მაქვს.

– და რა მნიშვნელობა აქვს, არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი იქნება თუ მიხეილ სააკაშვილი?

– საქმეც ეგაა. არ უნდა დავუშვათ, რომ ერთი ძალაუფლების მონოპოლისტი მეორემ ჩაანაცვლოს. ადეკვატური იყო სააკაშვილი, როდესაც საუბრობდა არა ერთ ცენტრზე, არამედ მულტიპარტიულ ერთობაზე, რაც ამ სიტუაციიდან რეალურად ერთადერთი გამოსავალია. ეს პოლიტიკურად სწორი გზავნილებია, სხვა საკითხია, ის ამას მხოლოდ ლაპარაკობს თუ მართლა ასე ფიქრობს.

თუ გვინდა გამოვიდეთ ამ რეალობიდან, მმართველ კოალიციაში უნდა იყოს ბევრი პარტია, რომლებიც შიგნიდან ერთმანეთს დააბალანსებენ და გააკონტროლებენ.

– ჩვენნაირ ქვეყნებში კოალიციური მთავრობები რამდენად ამართლებს?

– როდესაც სერიოზული ამოცანები გაქვს გადასაწყვეტი და ეფექტურობა გჭირდება, მაშინ უკეთესია ცენტრალიზებული ხელისუფლება. კოალიციური მთავრობები მოუქნელია და გადაწყვეტილების მიღება რთულია, მაგრამ ჩვენთან პროცესმა აჩვენა, რომ ძალაუფლების ცენტრალიზაცია კიდევ უფრო დიდი უბედურებაა. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ჩვენ უბრალოდ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ამ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში.

– როგორ გაიგეთ, სააკაშვილი დაბრუნდება?

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე სააკაშვილი მის პოლიტიკურ კარიერას საქართველოს არ უკავშირებს. ის თავის თავს გლობალურ მოთამაშედ ხედავს. ამ გლობალური დაპირისპირების ეპიცენტრი დღეს უკრაინაა. უკრაინაში ბოლოს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ის ცდილობს, თავისი რენომე აღიდგინოს ამ გლობალურ თამაშებში. ეს არის მისი ამოცანა. ამიტომ, ახლა მისი ყურადღება უკრაინისკენ არის მიმართული. საქართველო მისთვის მეორადი ამოცანაა. თუკი ის უკრაინაში გადაწყვეტს იმას, რასაც ფიქრობს, მერე საქართველოში ვითარების დალაგება უფრო მარტივი იქნება.

ისე, დაბრუნება-არდაბრუნების თემა დღევანდელ სამყაროში არ არის მნიშვნელოვანი თემა. პირდაპირი ჩართვებით ის ისედაც არის პროცესში ჩართული.

– თუ დაბრუნდება და დააკავებენ, ოპოზიციონერი ლიდერისთვის უფრო ხელსაყრელი არ უნდა იყოს? ერთგვარი რეანიმირებაც კი შეიძლება მოხდეს.

– სხვადასხვა ტიპის პოლიტიკოსები არსებობენ. ნაწილისთვის ციხე ნამდვილად არის პოლიტიკური კარიერის ნაწილი. მეორე ნაწილისთვის არ არის. სააკაშვილი სწორედ მეორე ნაწილს მიეკუთვნება. ის უფრო პრაგმატიკოსია. მისი ძალა ქარიშხლისებურ გადაადგილებაშია და არა – სტაციონარულ პოზიციაში ციხიდან წერილების წერაში. ის დინამიკაში ხედავს თავის პოლიტიკურ აქტივობას. ამდენად, მე არ მიკვირს, რომ ის ფიქრობდეს – თუ ციხეში ჩაჯდება, პოლიტიკურად მოკვდება.

უკრაინაშიც შეეძლო ჩამჯდარიყო ციხეში, მაგრამ ეს არ გააკეთა, რადგან თვლის, რომ მოძრაობებით შიგნით თუ გარეთ უფრო მეტი შეუძლია.

– გირგვლიანის და რობაქიძის საქმეებს მართლა ნანობს? ხაზს უსვამს, რომ იგივე დანაშაული ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

– მართლა ხდება.

– მაგრამ იქ სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება იგივე ხომ არ არის?

– ნამდვილად ვერ გამოვდგები სააკაშვილის ადვოკატად, მაგრამ ზუსტად ამას ამბობს, რომ მერაბიშვილის არგადაყენება იყო შეცდომა. სხვა საკითხია, ეს მისი მხრიდან ადამიანური სინანულია თუ პოლიტიკური შეცდომის აღიარება. მე ვფიქრობ, უფრო პოლიტიკური შეცდომის აღიარებაა.

გირგვლიანის საქმე გახდა ცენტრალური საქმე. სააკაშვილის დელეგიტიმაცია დაიწყო გირგვლიანის საქმიდან გამომდინარე. როდესაც სისტემა თავდაცვის რეჟიმზე გადავიდა, ამან სააკაშვილი კატასტროფამდე მიიყვანა.

მას რომ ადეკვატური რეაგირება ჰქონოდა, მერაბიშვილი თანამდებობიდან გადაეყენებინა, დამნაშავეები ადეკვატურად დაესაჯა და სისტემურ დანაშაულში არ გადაეყვანა მთელი ეს პროცესი, მაშინ ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი სისტემური მანკიერების წინააღმდეგ, მაგრამ ასე არ მოხდა, პირიქით მოხდა. ამიტომ წააგო პოლიტიკურად.

თუ ის შექმნიდა პრეცედენტს, რომ ამ ტიპის განუკითხაობა, ვისი მხრიდანაც უნდა იყოს, დასჯადია, მაშინ არ გადავიჭრებოდით იმ უბედურებაში, რაშიც გადავიჭერით.

პრობლემა ისაა, რომ სააკაშვილი ამას არ განიხილავს მორალურ კონტექსტში. ზნეობრივ ნაწილში კი არ ინანიებს, არამედ შეცდომად თვლის ამას, როგორც პოლიტიკოსი.

კახა კუკავა: „ძალიან მინდა მესამე ცენტრის შექმნა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, ევროპარლამენტარების კრიტიკა ჩვენი ხელისუფლების მისამართით გახშირდა. ძალიან გააქტიურდა საერთაშორისო საზოგადოება და 8 წელი რომ იწურება, ამის ბრალია?

– კი, იწურება და ჩვენ ვატყობთ ლექსიკონის ცვლილებას. ეს განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო. ეს შეეხება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას. გამოირჩეოდა სახელმწიფო დეპარტამენტი, მის განცხადებაში ნათქვამი იყო, გაზაფხულამდე ველოდებით ცვლილებებსო. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ეს ნამდვილად არის მნიშვნელოვანი ამბავი ქართული პოლიტიკისათვის. აქ დგას კითხვის ნიშანი იმასთან დაკავშირებით, ხელისუფლება რამდენად ადეკვატური იქნება.

– არ იქნება?

– ჩვენ ამისი გამოცდილებაც გვაქვს გასული მთავრობების შემთხვევაში. ხშირად ჩვენი მთავრობები არასწორად იგებენ ხოლმე დასავლეთის რეკომენდაციებს. დასავლეთი ამითი განსხვავდება რუსეთისგან, რომ ვრცლად და ბუნდოვნად საუბრობს და არა მოკლედ და გასაგებად.

რუსეთმა პირდაპირ უთხრა სააკაშვილს, თუ ამას არ გააკეთებ, თბილისს დავბომბავ. აქ გასაგებია ყველაფერი. დასავლეთი ასე არ საუბრობს. ასევე დასავლეთი არ საუბრობს პირველი პირების ენაზე და მოთხოვნებს არ აყენებს. ისინი გასცემენ რეკომენდაციებს, რომ კარგი იქნებოდა, თუ კანონმდებლობას გააუმჯობესებდით საარჩევნო კანონმდებლობის კუთხით და ასე შემდეგ.

– დიპლომატიური ენით?

– ძალიან დიპლომატიურია მათი ენა, თუმცა გამგები გაიგებს. თავის დროზე ამის გაგება გაუჭირდა შევარდნაძესაც, თუმცა ის ყველაზე უფრო ადეკვატური იყო. გაუჭირდა სააკაშვილს, თავად ჰილარი კლინტონს მოუწია ჩამოსვლა. ასევე უჭირს ამისი გაგება პირადად ბიძინა ივანიშვილს, თუმცა ხელისუფლებაში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ესმით, რომ ამ ცვლილებების გარეშე, უბრალოდ, შეიძლება კატასტროფით დაასრულოს რეჟიმმა.

ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ ამ სიტუაციაში ოპოზიციაც უფრო აქტიური უნდა ვიყოთ, უფრო გავაძლიეროთ ზეწოლა ხელისუფლებაზე, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებაშიც გამოჩნდება პარტნიორი, რომელსაც ესმის, ეს პროცესი საით მიდის.

– საით მიდის?

– პროცესი მიდის იქით, რომ 2020 წელს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და ის უნდა შეიცვალოს არა ერთი, არამედ რამდენიმე პოლიტიკური ძალით და უნდა შეიცვალოს მშვიდობიანად. ამისთვის არის საჭირო საარჩევნო კოდექსი.

– კობახიძე და მისი თანამოაზრეები ამბობენ, რომ კონსტიტუციაში ცვლილებებს აღარ შეიტანენ.

– განა ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი არ ამბობდნენ ამას?! როცა არ ესმით ხოლმე, მერე ერთვებიან უკვე სხვა დონის უწყებები. ამიტომ მე ვფიქრობ, ძალიან ცოტა დრო დარჩა, სულ რაღაც რამდენიმე კვირა რეჟიმს, რომ ეს ცვლილებები განახორციელოს. მერე დაიწყება სხვა ტიპის ზეწოლა და შეიძლება მოთხოვნებიც შეიცვალოს. ჩვენთან ხშირად ძალიან პრიმიტიულად ესმით ხოლმე, რომ ბიძინა უნდა გააგდო და მიშა უნდა მოიყვანო, ასე არ არის.

– იმის თქმა გინდათ, რომ ამ დეტალებში არ ერევა დასავლეთი?

– დასავლეთის მთავარი პოლიტიკური ინტერესი საქართველოში არის ის, რომ მოხდეს ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება კონსტიტუციური გზით, ამიტომ საჭიროა ახალი საარჩევნო კოდექსი.

გარდა ამისა, მათი გეოპოლიტიკური ინტერესი არის ის, რომ არ მოხდეს ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, საგარეო კურსის ცვლილება და ხელისუფლებაში არ მოვიდნენ ანტიდასავლური ძალები.

ეს არის მთავარი. დანარჩენი ახლა, ამ არჩევნებს კუკავა მოიგებს, ბოკერია, სააკაშვილი თუ ივანიშვილი, ძალიან გულუბრყვილოა, ვისაც ჰგონია, რომ ამაზე ნერვიულობენ ან ბრიუსელში, ან ვაშინგტონში. ამიტომაც არ აცდება საქართველოს ახალი საარჩევნო კოდექსი და ვწუხვარ, მაგრამ ბატონ კობახიძის დონეზე ეს საკითხი არ გადაწყდება.

– რა როლს ითამაშებს ამ შემთხვევაში ოპოზიცია და ეს მილიონიანი ხელმოწერების შეგროვება, რომელიც უკვე დაწყებულია?

– ოპოზიცია არ არის ერთგვაროვანი. არის სხვადასხვა ჯგუფები. დღემდე არსებობს ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ოპოზიცია რაღაცა დოზით თამაშობს ივანიშვილის თამაშს, მათ მეორე ტურზე რომ არ იბრძოლეს, ეს ფაქტია. აუცილებლად უნდა გამოჩნდეს ეს მესამე ცენტრი, რომელზეც ამდენს ვსაუბრობ და რომელიც იქნება ძირითადი მხარე საარჩევნო რეფორმების დროს.

– ხედავთ ამის კონტურებს, რომ შეიქმნება მესამე ცენტრი?

– ჩვენ დაწყებული გვაქვს კონსულტაციები, დღესაც მაქვს შეხვედრები და იმედი მაქვს და ძალიან მინდა, რომ ეს გამოვიდეს. ეს არის გამოსავალი იმ ჩიხიდან და იმ ჭაობიდან, რომელშიც ჩვენ ვართ.

თუ უსმინეთ სააკაშვილს, ვისაც ჰქონდა რაიმე ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ადამიანმა რაიმე შეიგნო, რაც საქართველოში ტრიალებს ამდენი წელია, ვერაფერიც ვერ შეიგნო. ეს ადამიანი მესამე ცენტრს და მესამე ოპოზიციას ლანძღავს იმის გამო, რატომ არ შეუერთდნენ სააკაშვილს. საკუთარი პარტიიდან გარიცხეს და ვერ გავიგე, კუკავა და უსუფაშვილი რატომ უნდა გახდნენ მიშისტები?!

ეს ადამიანი ვერ აცნობიერებს რეალობას. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ასეთივე არაადეკვატურია ივანიშვილიც. ამიტომაც მხოლოდ ამ 2 არაადეკვატური ფიგურის დატოვება ქართული პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე იქნება ძალიან დრამატული. ამიტომ აუცილებელია მესამე ცენტრის შექმნა.

– არ შეუშვებენ პოლიტიკურ სცენაზე მესამე ცენტრსო, ამაზე რას იტყვით?

– რთულია, ძალიან რთულია, მაგრამ იმდენად დიდია მოთხოვნა, რომ თუკი შეიქმნა მესამე ცენტრი რეალური კონფიგურაციით, მას იმდენად დიდი მხარდაჭერა ექნება, რომ ბარიერები ხელს ვერ შეუშლის.

საქართველოში არის 2 მილიონი აქტიური ამომრჩეველი, საიდანაც არის 100 ათასი ქოცი და 400 ათასი ნაცი. ჯამში ეს არის ნახევარი მილიონი, მილიონნახევარი არის მესამე ცენტრი! ძალიან აღემატება მესამე ცენტრის პოტენციური ელექტორატი ქოცებს და ნაცებს. თუ შეიქმნა, ამას ვერავინ გააჩერებს.

– არც ივანიშვილია უსაქმოდ და ის თავადვე ქმნის ალტერნატიულ ძალას. ამაზე რას ფიქრობთ?

– ჩვენ რამდენიმე მიმართულებით ვაკვირდებით, როგორ ცდილობს ის მასთან ასოცირებული სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფების გაძლიერებას, თუმცა სწორედ ამიტომაც აუცილებელია მესამე ძალის შექმნა. საზოგადოება უკვე მომწიფებულია იმისთვის, რომ გაარჩიოს ერთმანეთისგან ის ადამიანი, ვინც დღეს გახდა ოპოზიციონერი, იმისგან, ვინც 7 წელია ოპოზიციაშია.

– რამდენად ელოდებით ვადამდელ არჩევნებს?

– მე მაინცდამაინც არ ვარ ამ იდეის მომხრე, რომ ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს, მაგრამ ხელისუფლებას საქმე მიჰყავს ისე, რომ შეიძლება ვადამდელი არჩევნები სახვეწარი გაუხდეს.

ვადამდელი არჩევნები არის კრიზისის განმუხტვის საშუალება. ხელისუფლებას თან ვადამდელი არჩევნები არ უნდა და თან ყოველდღე კობახიძის ენით მელაპარაკება, ეს გაუგებარია. თუკი საქართველოში ვადამდელი არჩევნები მომწიფდება, ივანიშვილმა ეს უნდა დააბრალოს ლაშა ნაცვლიშვილს, ირაკლი კობახიძეს და ვანო ზარდიაშვილს, რომლებიც ცეცხლზე ნავთს ასხამენ.

ეკა გიგაური: „სააკაშვილმა და წინა ხელისუფლებამ აღიარონ, რომ რაც ხდებოდა, დანაშაული იყო“

„სააკაშვილიც და „ოცნებაც“ ცდილობენ, საერთაშორისო ინსტიტუტებს რეპუტაციული ზიანი მიაყენონ“

იაგო ნაცვლიშვილი

2 აპრილს „რუსთავი 2“-ის ეთერში საქართველოს მესამე პრეზიდენტის ინტერვიუ გავიდა, რომელიც არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ჩაწერა. ინტერვიუ საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. სააკაშვილმა თქვა, რომ მან არ იცოდა, თუ მისი ხელისუფლებიდან ვიღაცები ოპონენტებისა და საზოგადოებრივად აქტიური ფიგურების პირად ცხოვრებას ფარულად იღებდნენ. პრეზიდენტმა გახმაურებულ საქმეებზეც ისაუბრა. გირგვლიანის თემაზე თქვა, რომ შეცდა, როცა ვანო მერაბიშვილი თანამდებობიდან არ გაათავისუფლა, ხოლო სტრასბურის სასამართლოს დასკვნაზე თქვა, რომ ის თეა წულუკიანმა დაწერა.

აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საუბრობს:

– მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუში ხმაურიანი განცხადებები მოვისმინეთ. ჩანაწერების თემას გამოეხმაურეთ სოციალურ ქსელში. უფრო განვავრცოთ თემა, რა შთაბეჭდილება დგრჩათ ამ თემაზე, მათ შორის იმ ნაწილზეც, როცა „ოცნებამ“ ეს საქმეები არ გამოიძია?

– სიმართლე გითხრათ, ეს ინტერვიუ თავიდან ბოლომდე არ მინახავს. ბევრი პოლიტიკური განცხადება გააკეთა, რომლის შეფასებასაც მე არ დავიწყებ. როდესაც ერთ კონკრეტულ ფაქტზე საუბრობდა, რომელიც შეეხებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას და მის დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, მან თქვა, რომ შესაძლოა იყო ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ეს არ იყო სახელმწიფოს პოლიტიკა და ა. შ. ამას გამოვეხმაურე. იმიტომ, რომ თუკი ეს არ არის სახელმწიფოს დამოკიდებულება თავიანთი მოქალაქეების მიმართ, მაშინ უზარმაზარი არქივები შსს-ში არ იქმნება. ძალიან რთულია დავუჯეროთ იმას, რომ როდესაც შსს-ში შესაბამისი აპარატურა და ქსელი გამოიყენება იმისთვის, რომ პირადი ინფორმაცია მოაგროვო ყველა იმ აქტიურ ადამიანზე, რომელიც ქვეყანაში ცხოვრობს.

როდესაც ასეთი რაღაცა ხდება, ამის შესახებ თურმე არავინ არაფერი არ იცოდა, არც ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტმა. ცხადია, არავინ საუბრობს, რომ ის აწერდა ხელს, მაგრამ ის, რომ ასეთი რაღაცა ხდებოდა, ეს არის იმ მმართველი გუნდის პასუხისმგებლობა, რომელიც მაშინ ქვეყნის მმართველი იყო. ამას აკეთებდა სამინისტრო, რომელიც იმ პერიოდში ქვეყნის ხერხემლად ითვლებოდა. ეს არ იყო გაკეთებული ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელიც თავისით წყვეტდა ამ ყველაფერს.

მე ვიყავი ამ კომისიაში, რომელიც შეიქმნა მაშინ, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში. ამ კომისიის მიზანი იყო, რომ ეს არქივი შეესწავლა და გაენადგურებინა ნაწილი. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა იცოდნენ, განადგურდა არქივის მხოლოდ ნაწილი. მეორე ნაწილი დავტოვეთ იმისათვის, რომ „ქართულ ოცნებას“ განეხორციელებინა გამოძიება. ეს მე ვთვლი, რომ მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რათა გამოძიებას დაედგინა, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული.

იქმნებოდა მთელი ინფრასტრუქტურა იმისათვის, რომ თვალთვალი განეხორციელებინათ ჟურნალისტებზე, ოპოზიციის წარმომადგენლებზე, მათივე გუნდის წევრებზე, სამოქალაქო სექტორზე... ეს ყველაფერი ამისთვის იქმნებოდა. სულ ცოტა, ეს ყველაფერი რომ გაკეთებულიყო და ქსელი და ინფრასტრუქტურა შექმნილიყო, ამისთვის უზარმაზარი ფული უნდა დახარჯულიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ასეთი რაღაცა როცა ხდებოდა, წარმოუდგენელია მაღალი თანამდებობის პირებს არ სცოდნოდათ. ამიტომ, ეს არის ის საკითხი, რომელიც წინა ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ უზარმაზარი პრობლემა და დანაშაული იყო, რასაც ისინი ჩადიოდნენ. დღეს უკვე ამ ხელისუფლებას ვებრძვით, რომ ის შექმნილი ქსელი არ მოირგონ, რაც მათ, შესაძლოა, უკვე გააკეთეს კიდეც და იმიტომ არ ჩაატარეს გამოძიება.

– საინტერესოა, კონტროლის მექანიზმები არ განგიხილავთ კომისიაში? იმისთვის, რომ თვალყური მიგედევნებინათ, რამდენად დაიწყო ამ ხელისუფლებამ რაიმე ქმედება იმ ჩანაწერების გამოძიების თვალსაზრისით, რაც არ განადგურდა.

– ამ არქივთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, მაგრამ შედეგი ჩვენ არ ვიცით. არც ის ვიცით, დასრულდა თუ არა, არც ის ვიცით, რითი დასრულდა და, შესაბამისად, ეს ითვლება, რომ „ოცნებას“ ის არ გამოუძიებია. არც საზოგადოებას და არც მე, როგორც იმ კომისიის წევრს, სხვა ინფორმაცია არ გვაქვს. ეს რომ გამოეძიებინათ, უნდა დაედგინათ მთელი ეს ინფრასტრუქტურა, ქსელი... ეს უნდა დაეშალათ ფაქტობრივად, ამის გაკეთების სურვილი, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ.

– ანუ კონტროლის მექანიზმებზე საუბარი არ ყოფილა მაშინ, რომ საგამოძიებო უწყებები გარედან რაღაცნაირად გაკონტროლებულიყო?

– საგამოძიებო უწყებების ერთადერთი საშუალება არის პარლამენტი. პოლიტიკურად რომ გააკონტროლოს და მოჰკითხოს შესაბამის ორგანოებს. ვისაც ამ ქსელსა და ინფრასტრუქტურაზე წვდომა აქვს. ბოროტად ხომ არ იყენებენ ამას. სხვა საშუალება არ არსებობს ამისი.

– მაშინ არც იმაზე გიმსჯელიათ, რომ როდესაც ჩანაწერებს ტოვებდით, რაც არ განადგურდა, შესაძლოა ის ამ ხელისუფლებას მოერგო საკუთარ თავზე და ის გაევრცელებინა?

– არაფერს არ ვტოვებდით. რაც ვრცელდება ახლა, ასეთი ტიპის მასალები არ დაგვიტოვებია. 24.000 ფაილიდან განადგურდა მხოლოდ 500-მდე და ის შეეხებოდა მხოლოდ სექსუალურ ურთიერთობებს. სხვა ფაილები იყო პირადი ცხოვრების, სატელეფონო ჩანაწერები და ა. შ. ეს იყო საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ კონკრეტული მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობა დამდგარიყო.

ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო შანტაჟის საშუალება. მათ შორის პოლიტიკური პარტიების მიერ. მივეცით მათ საშუალება, რომ გამოეძიებინათ არქივის თემა. ის ინფორმაცია, რაც ვრცელდება, რომ ყველაფერი წაიშალა, არასწორია. იქ წაიშალა ძალიან მცირე ნაწილი.

– ამ პოსტის შემდეგ, რაც „ფეისბუქში“ დაწერეთ, სააკაშვილის მომხრეების კრიტიკა დაიმსახურეთ. თუ აქამდე „ოცნების“ ლიდერები და წევრების კრიტიკის ობიექტი იყავით, ახლა უკვე სააკაშვილის მხარდამჭერებიც თავს დაგესხნენ. მოულოდნელი იყო თქვენთვის?

– არა, მე როდესაც ვაკრიტიკებ წინა ხელისუფლებას, როგორც წესი, წინა ხელისუფლების მომხრეების კრიტიკის ობიექტი ვხდები, ხოლო როდესაც ვაკრიტიკებ ამ ხელისუფლებას, ეს ხელისუფლება მესხმის თავს. ეს არის ის მოცემულობა, რომელიც მე მაქვს და ყოველთვის ასე იყო. გახსოვთ, წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილიც რაღაცებს ამბობდა ჩემზე. ეს მოცემულობა მაქვს.

როგორც ახლა ვარ კრიტიკის ობიექტი ხელისუფლების მხრიდან, 2012 წლამდეც ასე ვიყავი კრიტიკის ობიექტი უკვე წინა ხელისუფლების. გასაგებია, რომ დღეს ხელისუფლებაში სხვა პარტიაა და ამათ მონიტორინგს ვეწევით და ძალიან იშვიათად ვსაუბრობთ წინა ხელისუფლებაზე. 2012 წლამდე წინა ხელისუფლებაზე საკმარისად ბევრი რამე გვაქვს ნათქვამი მათ საქმიანობაზე. ეს არის ის მოცემულობა, რაც გვაქვს. გასაგებია, მათი მხარდამჭერები არ იჯერებენ, რომ ასეთი არქივი არსებობდა და არ სჯერათ, რომ ასეთი არქივი იყო. 2012 წელს კი მოსახლეობის უმეტესობამ ოპოზიციას მისცა ხმა. იმიტომაც, რომ წინა ხელისუფლების დროს ძალიან ბევრი პრობლემა იყო.

– სააკაშვილმა გირგვლიანის თემაზე აღიარა, რომ ვანო მერაბიშვილი უნდა გადაეყენებინა. ამავე დროს სტრასბურის სასამართლოზე თქვა, რომ დასკვნა თეა წულუკიანმა დაწერა. გავიგეთ წულუკიანის გავლენის შესახებ საქართველოში, მაგრამ სტრასბურშიც ამხელა გავლენა აქვს, რომ საქმეზე განაჩენს თვითონ წერს?

– მე მგონია, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ დაწერა ეს. მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რა წერია იქ. იქ წერია, რომ ხელისუფლების ყველა შტო იყო მიმართული იმისკენ, რომ ეს დანაშაული დაეფარათ. ეს არის უმძიმესი შეფასება იმ დროინდელი სახელისუფლებო სისტემის. ამიტომ, ალბათ ამაზე უფრო უნდა გავაკეთოთ აქცენტი და ამას უნდა შევხედოთ.

ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ რაც ეწერა, ის იყო ტყუილი?! ასე იყო ზუსტად. დაწყებული საგამოძიებო ორგანოებიდან და დამთავრებული სასამართლოთი. ყველა იმისკენ იყო მიმართული, რომ ხელი დაეფარებინათ იმ მაღალჩინოსნებისთვის, რომლებიც ამ დანაშაულში იყვნენ ჩართულები და ეს არის ფაქტი. ახლა ვინც არ უნდა დაწეროს, მთავარია, არის თუ არა მართალი. ეს არის მართალი და სწორი, რაც დაწერა სტრასბურის სასამართლომ.

– თუმცა, ქვეტექსტი იყო პოლიტიკური ანგაჟირებულობის მესამე პრეზიდენტის განცხადებაში. ეს სტრასბურის სასამართლოს იმიჯის შელახვის მცდელობა ხომ არ არის ქვეყნის შიგნით?

– ჩვენ ვხედავთ, რომ როდესაც პოლიტიკოსები საუბრობენ, ანუ როცა რაღაცა მიზანი აქვთ, რეალურად ამას ყურადღებას არ აქცევენ, რომ ამ ყველაფერში შეიძლება რომელიღაცა ინსტიტუციას, მათ შორის საერთაშორისოდ აღიარებული ინსტიტუტის რეპუტაციას რეპუტაციული ზიანი მიაყენოს. ამას ვერ მიაყენებენ, მაგრამ ეს მცდელობა არის იმისთვის, რომ თავიანთი თავი გაიმართლონ. ეს არის ზოგადად პრობლემა. ყოფილ პრეზიდენტსაც აქვს ეს პრობლემა და ახლანდელ მმართველ პარტიასაც. გვესმის, რომ ბოლო პერიოდში ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების განცხადებებსა და საერთაშორისო ინსტიტუტების დასკვნებს აკრიტიკებენ. ეს ზოგადად არასწორია.

რა გარიგება შედგა გიორგი გახარიასა და ზვიად სიჭინავას შორის

შორენა მარსაგიშვილი

ზუგდიდი კვლავ ყურადღების ცენტრშია. ამ პატარა ქალაქის მერის რიგგარეშე არჩევნები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ოპოზიციისთვის, ასევე ხელისუფლებისთვის. ყველა ხვდება, რომ ზუგდიდში ჩატარებული არჩევნები საპარლამენტო არჩევნების ერთგვარი რეპეტიციაც იქნება და ამიტომ, ერიც და ბერიც, სამეგრელოს გულს არის მიჩერებული.

მმართველმა პარტიამ და მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ – „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ უკვე დაასახელეს კანდიდატურები.

„გაერთიანებული ოპოზიციის“ კანდიდატი, სანდრა რულოვსი, გუშინ, 3 აპრილს, ოფიციალურად გახდა ზუგდიდელი.

კერძოდ, ზუგდიდის მერობის ოპოზიციონერმა კანდიდატმა სანდრა-ელისაბედ რულოვსმა ზუგდიდის იუსტიციის სახლში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაცია გაიარა.

– ჩამოვედი ზუგდიდში, ვიცხოვრებ აქ, რომ დავეხმარო ზუგდიდელებს და ერთად გადავჭრათ პრობლემები. ვიქნები ჩემს ზუგდიდელებთან ერთად, – განაცხადა საქართველოს ყოფილმა პირველმა ლედიმ.

მმართველი პარტია, როგორც იქნა, ჩამოყალიბდა მერობის კანდიდატთან. არადა იყო საფრთხე, რომ 2 აპრილს კიდევ ერთხელ გამოცვლიდნენ კანდიდატურას.

კანდიდატურის შეცვლა დღის წესრიგში ზუგდიდის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატის, ანი წითლიძის განცხადებას მოჰყვა.

საკრებულოს წევრი ამბობს, რომ „ოცნების“ მერობის კანდიდატს 500.000 ლარის ვალი აქვს. ეს ინფორმაცია ხელისუფლებისთვის ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ გამწარდნენ, როცა ეს ყველამ გაიგო. მის შეცვლასაც კი ფიქრობდნენ. შემცვლელი ვერ მოძებნეს და ისევ შენგელია დატოვეს.

მედიას კი დეზინფორმაციის გავრცელებაში დასდეს ბრალი – მერობის კანდიდატს 500.000 კი არა, 450.000 ვალი აქვსო.

არადა, ხელისუფლება მერობის კანდიდატის გამოცვლას ვალების ამბის გარეშეც აპირებდა და შენგელიას ნაცვლად ზვიად სიჭინავას წარდგენა სურდა.

როგორც „ახალ თაობას“ „ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ უამბო, მმართველმა პარტიამ რეიტინგი ჩაატარა, სადაც სიჭინავა ლიდერობდა. სიჭინავა რომ „ოცნების“ შესაძლო კანდიდატი იყო, ამის შესახებ „ახალი თაობა“ რამდენიმე კვირის წინაც წერდა.

სიჭინავას ბედი მისმა წარსულმა გადაწყვიტა. ეს ადამიანი რუსეთიდან სააკაშვილის დროს ჩამოიყვანეს. სააკაშვილის კურთხევითვე გახდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. „ოცნების“ მამებმა ჩათვალეს, რომ ეს პარტიისთვის კარგს არ მოიტანდა, რადგანაც მათ ისედაც ნაციონალებთან შეკრულებს ეძახდნენ.

ამის გამო სიჭინავას მმართველმა პარტიამ წითელი ბარათი უჩვენა. საბოლოო გადაწყვეტილებამდე ის შს მინისტრ გიორგი გახარიასაც შეხვდა. როგორც „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო ყვება, სიჭინავამ შს მინისტრს უთხრა, რომ საარჩევნო კამპანიას ის თავად დააფინანსებდა.

ჩვენი წყარო ამტკიცებს, რომ გახარია მას დახმარებას დაჰპირდა და უთხრა, რომ „ოცნება“ მას ხელს არ შეუშლიდა. ზუგდიდში ამბობენ, რომ სიჭინავა მმართველი პარტიის კანდიდატს ხმებს წაართმევს.

ზუგდიდელები არ გამორიცხავენ, რომ მმართველი პარტია სიჭინავას გამარჯვებაში დაეხმარება, მაგრამ ოფიციალურად სხვა ეყოლება დასახელებული.

მას შემდეგ, რაც მმართველმა გუნდმა გეგა შენგელიას კანდიდატურა დაასახელა, სიჭინავაზე ხმა-კრინტი არ ისმოდა. ისიც კი თქვეს, უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზეო.

ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად „ახალი თაობა“ სიჭინავას დაუკავშირდა. მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ის არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს და დამოუკიდებელი კანდიდატი იქნება.

ჟენევის მოლაპარაკებებზე ირაკლი კვარაცხელიას ფაქტზეც იმსჯელებენ

რისი იმედი აქვთ სოხუმს და ცხინვალს?

მარიამ მჭედლიშვილი

ჟენევაში მიმდინარეობს მრავალმხრივი მოლაპარაკებების მორიგი, 47-ე რაუნდი. ჟენევის ფორმატის ბოლო შეხვედრა 2018 წლის დეკემბერში გაიმართა. მას შემდეგ ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარული მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, საეჭვო ვითარებაში დაღუპული საქართველოს მოქალაქეების რიცხვს კი ირაკლი კვარაცხელიაც დაემატა.

ქართული მხარე ამ რაუნდზე სწორედ ამ საკითხებს წამოსწევს.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ ვითარებას საგანგაშო უწოდა და ამ რეგიონების შესახებ რეზოლუცია მიიღო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ. რეზოლუციას წინ უძღოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა გაეროს ადამიანის უფლებათა ოფისს, განახორციელოს მონიტორინგი ამ ტერიტორიებზე და წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიშები.

საბჭომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ჟენევის მოლაპარაკებები.

მოლაპარაკებების ამ ფორმატს უალტერნატივოდ მიიჩნევენ თბილისშიც, თუმცა მისი მისამართით კრიტიკაც გახშირდა.

როგორ გამაღიზიანებლადაც არ უნდა ჟღერდეს, ფორმატის მიმართ თავისი პრეტენზიები აქვთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმებს. მათ უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ მოლაპარაკებებზე ისინი მხარედ არ ითვლებიან. მათი მუდმივი მოთხოვნა ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის მიღებაა. დეკემბრის შეხვედრაზე ცხინვალელმა ოსებმა დააყენეს მათი იმ თანამოძმეების უფლებების დაცვის საკითხი, რომლებიც, მათი მტკიცებით, ყაზბეგში ცხოვრობდნენ, ამჟამად კი საკუთარ ქონებაზე ხელი არ მიუწვდებათ.

დეკემბრის რაუნდზე სოხუმის წარგზავნილებმა ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეებს შესთავაზეს ძალის არგამოყენებაზე განცხადების ახალი პროექტი. მაშინ გადაწყდა, რომ მასზე აპრილის რაუნდზე იმსჯელებენ. სოხუმს და ცხინვალს იმედი აქვთ, რომ ამ განცხადებას მიიღებენ.

ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეები ბევრ რამეში უძლურნი არიან. ეს ეხება მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვას, ასევე ოკუპირებულ რეგიონებში უცხოელი დამკვირვებლების შეშვების მიღწევას. საქართველოს ამ მხარეებზე ამ ეტაპზე წვდომა არა აქვთ არც გაეროს ოფისს და არც სხვა ორგანიზაციებს.

ჟენევის ფორმატში უფრო მაღალი რანგის პირების ჩართვაზე თავის დროზე განცხადება გააკეთა მაშინდელმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა. ბოლო დროს ჟენევის ფორმატის პარალელურად კონფლიქტების თემაზე ახალი რანგის შემოღებაზე ინიციატივა გამოთქვა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი განცხადება არავის გაუზიარებია. საზოგადოების ნაწილმა ეს არასერიოზულად მიიღო. დღემდე გაურკვეველია კვირიკაშვილის იდეაც.

ჟენევის მოლაპარაკებების ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობაზე საუბრობენ მისი თანათავმჯდომარეები – გაეროს, ეუთოსა და ევროკავშირის წარმომადგენლები.

როგორ უნდა ამაღლდეს ჟენევის ფორმატის ეფექტურობა, ჯერჯერობით, ვერავინ ახსნა.

იმის გათვალისწინებით, რომ ოკუპირებული რეგიონები რუსეთიდან იმართება და ფინანსდება, სიტუაციის გამოსასწორებლად აუცილებელია ძლიერი საერთაშორისო ზეწოლა რუსეთის ხელისუფლებაზე.

გია გვაზავა: „რუსეთს უნდა, საქართველოს არასოდეს ჰქონდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე პრეტენზია“

გულიკო ბალაძე

3 აპრილს ჟენევაში გაეროსა და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების (აფხაზი და ოსი სეპარატისტების წარმომადგენლების) მონაწილეობით ქართულ-რუსული მოლაპარაკებების 47-ე რაუნდი გაიმართა. ჟენევის ფორმატში მხარეებს შორის განიხილებოდა ძალის არ გამოყენების, დევნილთა დაბრუნების საკითხები. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ „ახალ თაობასთან“ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებებსა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა

– ბატონო გია, ჟენევის მოლაპარაკებების 47-ე რაუნდი მიმდინარეობს. რას ფიქრობთ, რა იმედები გაქვთ?

– დიდი იმედები ნამდვილად არ მაქვს იმისა, რომ რაღაც რადიკალურად შეიცვლება. თუმცა, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ჟენევის ფორმატით რაღაც ინფორმაცია მისაწოდებელია. ამიტომ ასეთი ფორმატის ქონა აუცილებელია. ალბათ, ეს გაკეთდება. თანდათან დაგროვილმა ინფორმაციამ თავისი შედეგი უნდა გამოიღოს. საერთაშორისო საზოგადოებისთვის მძიმე ინფორმაციის მიწოდება გვიწევს, რომ ირღვევა ადამიანის უფლებები.

– ზოგადად, გახმოვანდა, მოლაპარაკებებზე რა საკითხები განიხილება. მოლაპარაკებებში ორი ჯგუფია. ერთი ჯგუფი მოლაპარაკებას აწარმოებს ძალის არ გამოყენების საკითხზე, მეორე კი – დევნილთა დაბრუნებაზე. თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ ძალის არ გამოყენებაზე? რა უნდა რუსეთს? რა უნდათ სეპარატისტებს?

– რუსებსა და სეპარატისტებს უნდათ გარანტია, რომ საქართველოს არასოდეს ექნება თავისი ტერიტორიების დაბრუნების უფლება და შანსი. ჩვენ სეპარატისტებს ვეუბნებით, კი ბატონო, ჩვენ თქვენთან ომი არ გვინდა. ჩვენ ომი არ გვქონდა თქვენთან, ჩვენ ომი გვქონდა რუსეთთან. რუსეთთან უნდა იყოს მოლაპარაკება ორივე მხრიდან და არა – სეპარატისტებთან.

– ძალის არ გამოყენებაზე მოლაპარაკება რუსეთთან არ მიმდინარეობს?

– რუსებს უნდათ, სხვა ფორმატში გადაგვიყვანონ, უნდათ ამაზე სეპარატისტებს ველაპარაკოთ, თვითონ კი პასუხისმგებლობა აიცილონ.

ძალის არ გამოყენების შესახებ დოკუმენტს ხელი რომ მოვაწეროთ, ამით აფხაზეთის აღიარება მოხდება. აი, ჩვენ ომი დავიწყეთ, ახლა იმ ტერიტორიას არ ვემუქრებით და ა.შ. ტერიტორიას ნამდვილად არ ვემუქრებით, მაგრამ ომი ჩვენ არ დაგვიწყია. ჩვენი გზა მშვიდობიანია – თანამშრომლობა აღიარების გარეშე. ეს თანდათან შედეგს მოიტანს. კარგი რაღაცებიც კეთდება. ამის ჩაშლა უნდათ, მეტი არაფერი.

– თქვენ თვით, რუსებსა და სეპარატისტებს არ უნდათ, უფლება გვქონდეს და პრეტენზია განვაცხადოთ აფხაზეთზე?

– დიახ, რუსეთს უნდა, საქართველოს არასოდეს ჰქონდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე პრეტენზიის გაცხადების, თავისი ტერიტორიების დაცვის უფლება და საშუალება.

– ანუ, თუ საქართველო ხელს მოაწერს ძალის არ გამოყენებაზე, ეს იმას ნიშნავს, შემდეგ ჩვენ გარკვეული ქმედებების განხორციელების უფლება გვერთმევა?

– თუ ჩვენ ხელს მოვაწერთ ძალის არ გამოყენებაზე შეთანხმებას, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. პირველ რიგში, ეს იმას ნიშნავს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ დავიწყეთ ომი, ომი გვქონდა სეპარატისტებთან და არა რუსეთთან. ამის ირიბი აღიარება იქნება. ამიტომ საქართველომ ეს არ უნდა გააკეთოს.

– პირიქით, მოლაპარაკება რუსეთის მხრიდან ძალის არ გამოყენებაზე არ უნდა იყოს?

– ასე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ გვთხოვენ, ხელი მოვაწეროთ დოკუმენტს ძალის არ გამოყენებაზე.

თუ ჩვენ ხელს მოვაწერთ ძალის არ გამოყენებაზე შეთანხმებას, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. პირველ რიგში, ეს იმას ნიშნავს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ დავიწყეთ ომი, ომი გვქონდა სეპარატისტებთან და არა რუსეთთან. ამის ირიბი აღიარება იქნება. ამიტომ საქართველომ ეს არ უნდა გააკეთოს.

– წლებია დევნილთა თავიანთ სახლში დაბრუნების საკითხზე გაეროში რეზოლუციები მიიღება, თუმცა, არ სრულდება. მიუხედავად უშედეგობისა, მაინც კარგია ჟენევის ფორმატშიც რომ განიხილება ეს საკითხი.

– რა თქმა უნდა, კარგია, რომ განიხილება. წინათ ამ საკითხს ჟენევაში არ აყენებდნენ. ახლა ჩვენი ჯგუფი ამ საკითხის გადაწყვეტას ჟენევაშიც მოითხოვს. სეპარატისტული მხარის წარმომადგენლები აქამდე ამ საკითხს არც განიხილავდნენ, მოლაპარაკებიდან გადიოდნენ.

– დიახ, ვიცი, რომ როცა მოლაპარაკებაზე დევნილთა დაბრუნების საკითხი დგებოდა, სეპარატისტები მოლაპარაკების მაგიდას ტოვებდნენ და მოლაპარაკება იშლებოდა. ახლა რატომ დათანხმდნენ ამ საკითხის განხილვას?

– არ ვიცი. ვნახოთ, დათანხმდნენ თუ არ დათანხმდნენ, ამას ჟენევიდან ჩვენი წარმომადგენლების დაბრუნების შემდეგ გავიგებთ.

– დევნილთა დაბრუნების საკითხი მუდმივად ყველა დონეზე უნდა იდგეს. ამ ადამიანებს, ბოლოს და ბოლოს, უფლება აქვთ თავიანთ სახლკარში დაბრუნდნენ.

– რა თქმა უნდა, ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის თვალსაჩინო მაგალითი. ამაზე მეტი უხეში დარღვევა არ არსებობს.

– მოლაპარაკებებზე თუ დგას ის საკითხი, რომ დევნილები დროდადრო მაინც შეუშვან ტერიტორიაზე ახლობლების საფლავების მოსანახულებლად, ვთქვათ, აღდგომის დღესასწაულზე და მსგავს დღეებში?

– ამაზე ლაპარაკი იყო. ვნახოთ. მიდის პატარა შეხვედრები და მოლაპარაკებები ადამიანურ დონეზე სახალხო დიპლომატიის ფარგლებში. ამას საბოლოოდ კრემლი გადაწყვეტს, მაგრამ რაღაც ძვრები შეიძლება მოხდეს.

– სახალხო დიპლომატიის დონეზე მათი შემხვედრი განწყობები როგორია?

– ურთიერთობა თანდათან ლაგდება. ისინი ჩვენთან იხსენებენ ჩვენი ერთიანი ცხოვრების მაგალითებს. ჭკვიანი ადამიანები ხვდებიან, რომ რუსეთთან მომავალი არ აქვთ.

– ჟენევაში ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეწყვეტილი ჭუბურხინჯის შეხვედრების განახლების საკითხიც განიხილება. ამ მექანიზმის მუშაობაში თქვენ დადებითს რას ხედავთ?

– ვერ გეტყვით, რომ შედეგიანია, მაგრამ ამ ფორმატში ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ხდება. ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა მივაწოდოთ. ამას ჩვენები ამ ფორმატის ფარგლებში ახერხებდნენ. ამიტომ ამ ფორმატში შეხვედრებიც საჭიროა.

– 2008 წლის ომით კიდევ ერთი ცუდი რამ მოხდა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაეროს დამკვირვებლები გამოაძევეს. მათ იმ ტერიტორიებიდან გარკვეული ინფორმაცია ადამიანის უფლებების დარღვევებზე მაინც გამოჰქონდათ. რატომ ვერ ხერხდება გაეროს სადამკვირვებლო მისიის აფხაზეთში დაბრუნება?

– გაეროს სადამკვირვებლო ჯგუფის აფხაზეთში დაბრუნებას რუსეთი უშლის ხელს. კრემლს არ აწყობდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ინფორმაციის გამოტანა და გაეროს დამკვირვებლები იქ აღარ დაუშვა. ეს არის ოკუპაციის შედეგი. თავის დროზე ეუთო გაიყვანეს. რუსეთის მხრიდან გაეროს დამკვირვებლების გაძევებაც მსგავსი მოქმედებაა.

– ჟენევის მოლაპარაკებების პარალელურად, პუტინი აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს შეხვდა. ეს რას ნიშნავს?

– ამით პუტინმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ კრემლი არ თმობს პოზიციებს და აკეთებს იმას, რაც მას უნდა. ეს მისი ქმედების სტილია.

– რუსი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ კრემლი საქართველოში ნატოს აქტიურობის გამო ღიზიანდება.

– რუსები გაღიზიანების საბაბს ყოველთვის გამონახავენ. ამის პრობლემა არ არის. ხან ნატო გამოჩნდა, ხან იქიდან კიდევ ყვავმა გადაიფრინა.

– საქართველოში ჩატარდა ნატოს წვრთნები, ნატოს გენერალური მდივანი იმყოფებოდა.

– მათ აქტიურობას და ვიზიტებს მხოლოდ მივესალმებით, ყველანაირად.

– ნატოს სამხედრო კომიტეტმა თბილისში სხდომა ჩაატარა. ახლა ნატოს გემები იმყოფებიან შავი ზღვის აკვატორიაში. თქვენ რა მნიშვნელობას ანიჭებთ ნატოს აქტიურობას საქართველოს გეოპოლიტიკურ და ტერიტორიულ სივრცეში?

ნატოს აქტიურობას საქართველოსთან დაკავშირებით ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოების სხვა ქოლგა არ აქვს. ამიტომ ვითანამშრომლოთ და მოთმინებით ველოდოთ გაწევრიანებას. გავაკეთოთ ის, რაც საჭიროა. ბევრს ვაკეთებთ, მაგრამ რთულ რეგიონში ვართ და ცოტა თავს იკავებენ.

– ნატოს აქტიურობას საქართველოსთან დაკავშირებით ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩვენს ქვეყანას უსაფრთხოების სხვა ქოლგა არ აქვს. ამიტომ ვითანამშრომლოთ და მოთმინებით ველოდოთ გაწევრიანებას. გავაკეთოთ ის, რაც საჭიროა. ბევრს ვაკეთებთ, მაგრამ რთულ რეგიონში ვართ და ცოტა თავს იკავებენ.

– თავს იკავებენ ნატოს წარმომადგენლები?

– საქართველოს ნატოში მიღებისაგან თავს იკავებენ.

– თქვენ საქართველოს ნატოში მიღებას აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევთ?

– რა თქმა უნდა, დღეს ნატოს მთელი მსოფლიო მხარს უჭერს, ჩვენ გამონაკლისი ნამდვილად არ ვიქნებით. თავდაცვის სხვა ქოლგას მე ვერ ვხედავ.

– არიან ადამიანები და ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ამბობენ, რომ მოსკოვთან აქტიური მოლაპარაკებებია საჭირო, თუნდაც ნატოზე უარის თქმაც რომ დაგვჭირდეს.

– ყველასთან უნდა ვილაპარაკოთ. მით უმეტეს, ამისთანა მეზობელთან, მაგრამ გააჩნია რას ილაპარაკებ, რას შესთავაზებ და რას მიიღებ. თავის დროზე, 1995 წელს, ჩვენ მათ შევთავაზეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბაზების განლაგება, ჩარჩო ხელშეკრულება, მაგრამ უარი გვითხრეს. საქართველოში უფასოდ ბაზების განლაგების უფლებას ვაძლევდით და უარი გვითხრეს.

– რუსეთზე ლაპარაკობთ?

– რუსეთზე ვამბობ, რა თქმა უნდა. ახლა რას გვთხოვენ, რა უნდათ. უნდა ველაპარაკოთ, მაგრამ წითელი ხაზები არ უნდა გადავკვეთოთ, რომელიც ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხზე გადის. მივიღოთ ყველა ის სიკეთე, რაც შეიძლება მოლაპარაკებამ მოიტანოს და არა, საფრთხეში დავრჩეთ. ეს არის მთავარი.

ის, ვინც ჩვენ ტერიტორიას დაგვიბრუნებს და ქვეყნის დარღვეულ მთლიანობას გაგვიმრთელებს, ხელს ავუწევ, ვინც უნდა იყოს ის. დღეს ეს არის ევროპა. საერთოდ, ევროპა რომ უფრო პროგრესულია, ცხადია.

ადა მარშანია თამარ ჩუგოშვილს ემზარ კვიციანის გამო ეჩხუბა

შორენა მარსაგიშვილი

ძველ დროში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ძირითადად კაცები ჩხუბობდნენ, ქალები კი მათი გაშველებით იყვნენ დაკავებული. ბოლო დროს საქართველოში ძალიან ტრენდული გახდა გენდერული თანასწორობა და ახლა პარლამენტში ძირითადად ქალი კანონმდებლები ჩხუბობენ.

ქალური კდემამოსილებიდან გამომდინარე ისინი ერთმანეთს მხოლოდ სიტყვიერად უპირისპირდებიან. აქამდე პარლამენტში ყველაზე ხშირად ეკა ბესელია და თინა ბოკუჩავა ჩხუბობდნენ. მოგვიანებით ბესელიასთან ჩხუბში ბოკუჩავა სოფო კილაძემ ჩაანაცვლა.

ამიერიდან დაპირისპირების სერიებს ალბათ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია და პარლამენტის ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი შემოგვთავაზებენ.

გუშინ, 3 აპრილს, მათ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის, ემზარ კვიციანის გამო იჩხუბეს. ჩხუბის მიზეზი თამარ ჩუგოშვილის გადაწყვეტილება გახდა – მან კანონმდებელს სიტყვით გამოსვლისას მიკროფონი გაუთიშა.

ჩუგოშვილმა კვიციანს მის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის წარდგენისას მიკროფონი გაუთიშა. ამის გარდა, დეპუტატს ეთიკის პრინციპების დაცვისკენ მოუწოდა.

ჩუგოშვილმა კვიციანს განუმარტა, რომ პარლამენტის წევრს დისკრიმინაციული გამოსვლების უფლება არ ჰქონდა.

– არ მიკვირს, ეს რომ ვერ მოახერხეთ, რადგან მთელი თქვენი ინიციატივა არის სრულიად დისკრიმინაციული. სცადეთ მაინც, ცოტა ეთიკურად გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები თქვენს ინიციატივასთან დაკავშირებით, – მიმართა ჩუგოშვილმა ემზარ კვიციანს.

ეს უკანასკნელი ჩუგოშვილის გამოსვლის იმ ნაწილმა აღაშფოთა, სადაც განაცხადა, რომ უწმინდესის შეფასებით, პარლამენტის მიერ მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი იყო უკანონობის დაკანონება, უკანონობის დაკანონება კი არის ცოდვა და ამას არც ერთი მორწმუნე არ მიიღებდა.

ვიცე-სპიკერს გამოსვლა ადა მარშანიამ დაუგმო და კვიციანის დისკრიმინაციაში დასდო ბრალი.

– თქვენ თავად გაქვთ ფასეულობები გამრუდებული და თქვენი ფასეულობები ჩვენს ფასეულობებს არ ემთხვევა. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თქვენი დღევანდელი აგრესული რეაქცია სწორედ ამაზე მეტყველებს?! თქვენ თავად აყენებთ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმ ადამიანებს, რომლებიც ამ აქტუალურ თემაზე მსჯელობენ და საკუთარ აზრს აფიქსირებენ, – მიმართა ჩუგოშვილს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა.

ვიცე-სპიკერმა თქვა, რომ ამაზე მარშანიას არ უპასუხებდა. ამან მარშანია გააბრაზა და ჩუგოშვილს უკივლა:

– შენ ხარ კლასიკური აგენტი, რომელმაც ქვეყანა დაღუპა.

ყოველ ხუთშაბათს „ნიკორა სუპერმარკეტი“ „ლიბერთი ბანკის“ სოციალური ბარათის მფლობელებს უპრეცედენტო ფასდაკლებას შესთავაზებს

დღეიდან, ყოველ ხუთშაბათს, „ნიკორა სუპერმარკეტი“ „ლიბერთი ბანკის“ სოციალური ბარათის მფლობელებს ყველაზე მოთხოვნად პროდუქციაზე უპრეცედენტო ფასდაკლებას შესთავაზებს. აქცია ვრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„ნიკორა სუპერმარკეტის“ და „ლიბერთის“ ერთობლივი პროექტი სექტემბრის თვიდან დაიწყო ჩვენს ქსელში. ამ პროექტის ფარგლებში, სოციალური ბარათის მფლობელებისთვის ასობით დასახელების ყველაზე მოთხოვნად პროდუქტებზე სპეციალური ფასები შემუშავდა, რაც ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით ბევრად დაბალია.

პროექტის მიმართ ინტერესი და კმაყოფილება სოციალური ბარათის მფლობელებისგან იმდენად მაღალია, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება, მათთვის ყველაზე სასურველ 4 დასახელების პროდუქტზე ყოველ ხუთშაბათს შევთავაზოთ უპრეცედენტოდ დაბალი ფასი. ვურჩევთ ყველას, ვინც სოციალური ბარათით სარგებლობს, არ გამოტოვოს ეს დღე და ყოველ ხუთშაბათს ისარგებლოს საუკეთესო შეთავაზებით“, – განაცხადა „ნიკორა სუპერმარკეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ანა კოშაძემ.

მომხმარებელზე ზრუნვა „ლიბერთის“ სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენს. 2018 წლის სექტემბრიდან, „ლიბერთის“ სოციალური ბარათის მფლობელები, მათ შორის, პენსიონერები და სოციალური დახმარების მიმღები პირები, „ნიკორა სუპერმარკეტის“ ნებისმიერ ობიექტზე ყველაზე მოთხოვნად 350-მდე დასახელების პროდუქტზე საუკეთესო ფასით ყოველდღიურად სარგებლობენ.

ლაშა პაპაშვილი: „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საყურადღებოა როგორც სამართალდამცველების, ისე ეროვნული და კომერციული ბანკებისთვის“

ბიზნესმენი, ყოფილი ბანკირი ლაშა პაპაშვილი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს აფასებს და აცხადებს, რომ ანგარიშის ის ნაწილი, რომელშიც საქართველოზეცაა საუბარი, საყურადღებოა როგორც ქართველი სამართალდამცველებისთვის, ისე ეროვნული ბანკისთვის და კომერციული ბანკებისთვის.

– როდესაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხრიდან შესაძლო კრიმინალზე მინიშნებები კეთდება, მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყებებმა მყისიერი რეაგირება მოახდინონ, რათა ქვეყანამ ავტორიტეტის შენარჩუნება შეძლოს, – აცხადებს ლაშა პაპაშვილი.

კითხვაზე, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ქართული ბანკების ტოპ-მენეჯმენტი, ფაქტობრივად, დადანაშაულებულია საბანკო ოპერაციების თაღლითური სქემის ხელშეწყობაში, პაპაშვილი განმარტება ასეთია:

– ანგარიშში მინიშნებულია ის, რომ საქართველო ისტორიულად ისეთ რეგიონში მდებარეობს, სადაც საერთაშორისო ტრეფიკინგისა და ნარკოტრაფიკის გზები გადის. ეს გლობალური პრობლემაა და აშშ-სთვის კარგად ცნობილია. აქ აპელირება მხოლოდ ქართული ბანკების ტოპ-მენეჯერებზე არ ხდება, მეტიც ანგარიშში არ ხდება მათი იდენტიფიცირება. გამოთქმაა, ისე არ წვიმს როგორც ქუხს – ასეა ამ შემთხვევაშიც. თუმცა, ეს ჩვენთვის საყურადღებო უნდა იყოს. თუ გვინდა დავიმკვიდროთ ადგილი ახლო აღმოსავლეთში, და როგორც ბანკირები ამბობენ, ვიყოთ რეგიონში საბანკო სისტემის ჰაბი, ან არბიტრაჟის ცენტრი, როგორც ხელისუფლება აცხადებს, მაშინ ეს დოკუმენტი ჩვენთვის მიმანიშნებელი უნდა იყოს, – აღნიშნავს პაპაშვილი.

როგორც ცნობილია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის შესახებ 2018 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოზეც არის საუბარი. ანგარიშის მეორე ნაწილში, რომელიც ფულის გათეთრებასა და ფინანსურ დანაშაულებს ეხება, ნათქვამია, რომ „საქართველოში არალეგალური შემოსავლის ძირითადი ნაწილი უკავშირდება საბანკო თაღლითობას, კიბერდანაშაულს, თანხების უკანონო მითვისებას“.

– არსებობს არალეგალური ნარკოტიკების ადგილობრივი ბაზარი და ასევე ხდება ნარკოტიკების ტრანზიტი საქართველოს გავლით. რუსეთის მიერ ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ტერიტორიები საქართველოს მთავრობის კონტროლის გარეთ არის და მონიტორინგს არ ექვემდებარება. ქართველმა სამართალდამცველებმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ ორგანიზებულ დანაშაულსა და ფულის გათეთრებასთან კავშირების დადგენაზე. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ ტაქტიკური მიდგომა შესაბამის ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის გააქტიურებისთვის, – ნათქვამია ანგარიშში.

მასში ასევე აღნიშნულია, რომ უკანონო შემოსავალი ძირითადად თაღლითობასთან დაკავშირებული დანაშაულებისა და კიბერდანაშაულებისგან წარმოიშობა.

– საქართველოს საბანკო ინსტიტუტები ერთი იურისდიქციიდან მეორეში თანხების გადარიცხვისთვის გამოიყენება, ხშირად ეს ყალბი დოკუმენტების ან სავაჭრო ინფორმაციის გამოყენებით ხდება. საქართველოს ბანკები არარეზიდენტი მეანაბრეებისა და ბევრი ოფშორული კომპანიების გულის მოგებას ცდილობენ, – ნათქვამია ანგარიშში.

ბარელი ნავთობის ღირებულება 96 ცენტით გაიზარდა

ნავთობის ფასმა ახალი კვარტალი ზრდით დაიწყო და პირველ კვარტალში აღებული ტემპი შეინარჩუნა. არსებულ ზრდას ექსპერტები, ბოლო ათწლეულში ყველაზე მკვეთრ მატებად თვლიან და მეტწილად OPEC-ის მიერ ბაზარზე მიწოდების შეზღუდვით ხსნიან.

ბოლო ინფორმაციით, საერთაშორისო ბაზარზე ბრენტ მარკის ბარელი ნავთობის ფასი 96 ცენტით (1.42 პროცენტით) გაიზარდა და 68.54 დოლარს მიაღწია. იანვარ-მარტის პერიოდში ზრდამ 27 პროცენტს მიაღწია. პირველ კვარტალში შედარებით მოკრძალებული, 32-პროცენტიანი ზრდა ჰქონდა აშშ-ის დასავლეთ ტექსასურ საშუალოს (WTI). დღეს მისი ფასი 56 ცენტით (0.93 პროცენტით) გაიზარდა და 60.70 დოლარს მიაღწია.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა გავლენას იქონიებს მსოფლიო ნავთობის ბაზარზე შეცვლილი მდგომარეობა საქართველოზე და მოსალოდნელია თუ არა საწვავის ფასის ზრდა.

აფბას ვიცეპრეზიდენტ პაატა ბაირახტარი თქმით, საქართველოში ნავთობ-იმპორტიორებს აქვთ საკმაოდ დიდი რესურსი, გაუძლონ მსოფლიო ბაზარზე არსებულ სერიოზულ გამოწვევებსაც კი.

– ჩვენს კომპანიებს საკმაოდ დიდი რეზერვი აქვს იმისთვის, რომ ფასები არ გაზარდონ. რეზერვს არ ვგულისხმობ ნავთობპროდუქტების მარაგს, ვგულისხმობ, ფასთან მიმართებაში. დღეის მდგომარეობით, მსოფლიო ბაზარზე ბოლო გაძვირებას თუ არ ჩავთვლით, კომპანიებს ერთ ლიტრ საწვავზე 50-55-თეთრიანი ფასნამატი ჰქონდათ. როდესაც კომპანიას ასეთი მოგება აქვს 1 ლიტრ საწვავზე, 2-3 დოლარით ნედლი ნავთობის გაძვირება პრაქტიკულად ვერ უნდა ახდენდნენ გავლენას მათზე. საბაზრო გარემოებიდან გამომდინარე, მსოფლიოს ეს ტენდენცია ჩვენთან ამ ეტაპზე ფასის ზრდის წინაპირობას არ ქმნის. გასულ წელს გვქონდა ნედლი ნავთობის ფასის პიკი – 77 დოლარსაც კი სცდებოდა. დღეს არსებული მდგომარეობით, (ბოლო ორი დღის გაძვირებაც, რომ ჩავთვალოთ) 15 დოლარითაა მსოფლიო ბაზარზე ფასი შემცირებული, ჩვენთან (ადგილობრივ ქსელში) სულ რაღაც 10-12 თეთრით მოიკლო ღირებულებამ. არადა, მათ საკმაოდ დიდი რესურსი აქვთ იმისთვის, რომ ფასები კიდევ დიდხანს შეინარჩუნონ და უფრო სერიოზულ გამოწვევებსაც გაუძლონ, თუ ეს მათი სურვილი იქნება რასაკვირველია, – განაცხადა ბაირახტარმა.

საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასის მატება, საქართველოში ნავთობის სარეალიზაციო ფასზე არ აისახება – ამის შესახებ „კომერსანტთან“ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი საუბრობს.

– მსოფლიო ბაზარზე ფასის დინამიკა მეტ-ნაკლებად მზარდია, თუმცა ეს პროცესი საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე გავლენას ვერ მოახდენს. ზოგადად, საწვავის ღირებულება საკმაოდ მაღალია, მაგრამ წლის დასაწყისიდან ანალიზი რომ გავაკეთოთ, როგორც ბრენდირებული, ასევე არაბრენდირებული კომპანიების მიერ მოხდა ფასების მნიშვნელოვნად შემცირება. რაც შეეხება სამომავლო პროგნოზსა და პერსპექტივას, მიმდინარე ეტაპზე ვერ ვხედავთ აუცილებლობას, რომ ფასის მატებასთან დაკავშირებით მკვეთრი ნაბიჯი გადაიდგმება. გასაგებია, რომ ბარელი ნავთობი და ნავთობპროდუქტების ფასი პლაცის მიხედვით არასდროს არის ერთხაზოვანი, ბოლო დროს მარჟის მატება, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ფიქსირდება, ეს ფაქტია. თუმცა, ჩვენი ბაზარი არ რეაგირებს ფასების მატებაზე მყისიერად. ამას ადასტურებს ისიც, რომ ბოლო დროს ადგილობრივ ბაზარზე საწვავის ღირებულების კორექტირება არ მომხდარა, – ამბობს მთვრალაშვილი.

„როიტერსის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვით, ეკონომისტები ვარაუდობდნენ, რომ ნავთობის საშუალო ფასი 2019 წლისთვის 67.12 დოლარი იქნებოდა, თუმცა პროგნოზი აშკარად არ გამართლდა.

შენობებში, სადაც ჭკვიანი სენსორების სისტემაა დამონტაჟებული, კომუნალური დანახარჯი 20-დან 30%-მდეა შემცირებული



– ევროკავშირის კვლევების თანახმად, იმ შენობებში, სადაც ჭკვიანი სენსორების სისტემაა დამონტაჟებული, კომუნალური დანახარჯი 20-დან 30 პროცენტამდეა შემცირებული. ამიტომ ბოლო წლებში საქართველოში მათზე მოთხოვნა გაზრდილია, თუმცა ფასის გამო გარკვეული პრობლემები იქმნება, – აცხადებს „კომერსანტთან“ საუბარში ქართული ტექნოლოგიური კომპანია „ველის“ ტექნიკური დირექტორი შოთა კვარაცხელია.

საქართველოში ახალი მშენებლობების დროს ჭკვიანი სენსორების სისტემების დამონტაჟება რამდენიმეწლიან ისტორიას ითვლის.

– საქართველოში არსებული შენობების მართვის სისტემები ძირითადად ძვირადღირებული პროექტებისთვისაა განკუთვნილი, რის გამოც ქვეყანაში კომერციული და სხვა ფართების 70 პროცენტი არანაირი სისტემით არაა აღჭურვილი. ევროპის ქვეყნებში წარმოებული სისტემები, რომლებიც საქართველოში გამოიყენება, არის საკმაოდ ძვირი. ხშირ შემთხვევაში მათი მწარმოებლები ქართულ კომპანიებს უარსაც კი ეუბნებიან, რადგან ჩვენთან პროექტების მასშტაბი ძალიან მცირეა, – აცხადებს შოთა კვარაცხელია.

კომპანია „ველი“ ბაზარზე 2018 წლიდან გამოჩნდა და ჭკვიანი სენსორების, კონტროლერების, მრიცხველების, დეტექტორებისა და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის გამაერთიანებელ პროგრამულ სისტემაზე მუშაობს. მათი პროდუქციის მეშვეობით შესაძლებელია შენობების მართვა, ელექტრონული და პროგრამული უზრუნველყოფა.

კომპანიის პროდუქცია მისი უნიკალური კონფიგურაციებითა და მრავალფეროვნებით ბაზრის ნებისმიერ მიმართულებას ინოვაციურ გადაწყვეტილებებს სთავაზობს, იქნება ეს აპარტჰოტელი, მოლი, საწარმო, სპორტ დარბაზი თუ უბრალოდ საოფისე ფართი.

– ჩვენი კომპანიის კიდევ ერთი უპირატესობა არის ფასი. თუ ავიღებთ რამდენიმე გერმანულ კონკურენტს, იქაური პროდუქციის ღირებულება 200 – 300 ათასი ევროდან იწყება. „ველში“ კი ქვედა ზღვარი არ არსებობს, ყველაზე მარტივი გადაწყვეტილება, რომელიც ბევრ მომხმარებელს დააკმაყოფილებს შეიძლება იწყებოდეს 2.000 – 3.000 ლარიდან, – ამბობს „ველის“ ტექნიკური დირექტორი.

ამჟამად „ველი“ რამდენიმე მსხვილ კომპანიასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, მათ შორის არიან სავაჭრო ქსელები და რამდენიმე ბანკი.

– 4 ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ვართ, უკვე ვთანამშრომლობთ „გალერეა თბილისთან“, რომელთანაც საპილოტე პროექტი ავიღეთ. ასევე ვთანამშრომლობთ „პლანტასთან“ და მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ რამდენიმე ბანკთან, – აღნიშნავს შოთა კვარაცხელია.

კაბუ საფრანგეთის ციხიდან გამოუშვეს

მას ქვეყნის დატოვების უფლება არ აქვს

2 აპრილს ქართველი მსახიობი კახა აბუაშვილი, იგივე კაბუ, რომელიც ქურდობის ბრალდებით იყო დაკავებული საფრანგეთში, ციხიდან გამოუშვეს.

ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლებულა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს. შესაბამისად, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯერ შეწყვეტილი არ არის.

კაბუ ქურდობის ბრალდებით საფრანგეთში 2018 წლის 18 აპრილს დააკავეს.

მაშინ სპეცოპერაცია ევროპის ორ ქვეყანაში ჩატარდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებს შორის იყო 4 ქართველი კანონიერი ქურდი, მათ შორის ლაშა შუშანაშვილი. ამასთან, დაკავებულები იყვნენ სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულში ბრალდებული საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის – კახა აბუაშვილი. იგი სასჯელს საფრანგეთის ციხეში იხდიდა.

კაბუს გათავისუფლება მისმა მეუღლე ანუკი გიორგელაშვილმაც დაადასტურა.

– კაბუ გუშინ საღამოს გაათავისუფლეს. ჯერჯერობით, საფრანგეთში რჩება, რადგან ქვეყნის დატოვების უფლება არ აქვს, – უთხრა მან „ინტერპრესნიუსს“.

როგორც გიორგელაშვილი აცხადებს, გათავისუფლების შემდეგ თავად მეუღლეს ესაუბრა. მისივე განმარტებით, საქმეში აბუაშვილის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ აქვთ.

– ჩამოსვლასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. ამ ეტაპზე ვერ მოდის და საფრანგეთში, სასამართლოს მოლოდინში რჩება. აბსოლუტურად არანაირი მტკიცებულება არ აქვთ. სასამართლო გაიმართება თუ არა, მაშინვე შეეძლება წამოსვლა. კაბუს გუშინ ვესაუბრეთ, გამოვიდა და გაგვახარა, ეს ამბავი გაგვაგებინა, – განაცხადა გიორგელაშვილმა.

„ვახუშტი მენაბდე იგინებოდა და ილანძღებოდა უშვერი სიტყვებით“

რა წერია პოლიციის ოქმში



„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორმა, საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი ოქმი გაასაჯაროვა, სადაც საუბარია მისი დაკავების მიზეზებზე.

ოქმში შს სამინისტროს თანამშრომელი აღწერს, თუ რა გახდა ვახუშტი მენაბდის დაკავების მიზეზი.

„ჭავჭავაძის გამზირის მიმდებარედ, აქციის დროს იგი შეეცადა, გზის სავალი ნაწილის გადაკეტვას, იგინებოდა და ილანძღებოდა უშვერი სიტყვებით და არ ემორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას“ – წერს საპატრულო პოლიციის თანამშრომელი სამართალდარღვევათა ოქმში.

ვახუშტი მენაბდის და მასთან ერთად დაკავებული 5 პირის სასამართლო პროცესი გუშინ, 3 აპრილს, უნდა გამართულიყო.

პროცესი 14:00 საათზე უნდა დაწყებულიყო, თუმცა მოსამართლე სასამართლო დარბაზში არ გამოჩენილა. ამის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ პროცესი გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ ვახუშტი მენაბდე 2 აპრილს, ჭავჭავაძის გამზირზე, მუშების სოლიდარობის აქციაზე დააკავეს. 6 დაკავებულს შორის, მენაბდესთან ერთად, იყო „თეთრი ხმაურის“ წევრი დავით სუბელიანიც.

დაკავებულები იმავე დღეს, გვიან ღამით გაათავისუფლეს, თუმცა საქმე სასამართლოში გრძელდება.

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ძმები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდებით 2 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ძმები: 1969 წელს დაბადებული ფ.ჯ. და 1966 წელს დაბადებული ვ.ჯ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

დანაშაული 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა ბრალდებულებისგან არაერთხელ განახორციელეს ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვები და მათი ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა. პოლიციამ ბრალდებულის მიერ გაყიდული ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღო. პოლიციამ ერთ-ერთი დაკავებულის ბინის ჩხრეკისას 30 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „სირეცი“ ნივთმტკიცებად ამოიღო, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

დანაშაული 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

„დაიჭირეს, შეათრიეს შიგნით, გახეთქეს ცემაში, დააბეს, ფულს სთხოვდნენ“

ნიღბიანებმა გლდანში ბინა გაძარცვეს

მორიგი ძარცვა მოხდა თბილისში. სამი ახალგაზრდა ნიღბიანი პირი გლდანის მეექვსე მიკრორაიონში ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში შეიჭრა. შეჭრიდან რამდენიმე წუთში სახლში ქალი მივიდა, რომელიც დაკეტილ ბინას მეთვალყურეობდა. ნიღბიანები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ, შეკრეს, სახლიდან სხვადასხვა ნივთები წაიღეს და მიიმალნენ.

გამოძიება ძარცვის მუხლით მიმდინარეობს. უკვე გამოიკითხნენ მეზობლები და დაზარალებული, რომლის დროებით საავადმყოფოში გადაყვანაც გახდა საჭირო.

– დაიჭირეს, შეათრიეს შიგნით, გახეთქეს ცემაში, დაბეს, ფულს სთხოვდნენ. სამნი იყვნენ, ნაცემი იყო, ტუჩი გახეთქილი ჰქონდა, ტანზეც სილურჯეები. ამბობს, რომ შინაურები არიან ალბათო, მაგრამ თავზე „მასკები“ ჰქონდათ, ვერაფერი ვერ დაინახა, – აცხადებს ადგილობრივი მცხოვრები მურმან ფერაძე.

პატიმრების რაოდენობით საქართველო ევროპაში მეორე ადგილზეა

ჩვენ მხოლოდ რუსეთი გვისწრებს

პატიმრების რაოდენობით საქართველო ევროპაში მეორე ადგილს იკავებს.

ამის შესახებ ახალი ანგარიში ევროსაბჭომ გამოაქვეყნა.

როგორც ევროსაბჭოს ანგარიშშია აღნიშნული, პატიმრების რაოდენობით პირველ ადგილს რუსეთი იკავებს, სადაც 100.000 მოსახლეზე 418,3 პატიმარი მოდის, მას მოჰყვება საქართველო 252,2 პატიმრით და აზერბაიჯანი 235 პატიმრით 100.000 მოსახლეზე. პატიმრების რაოდენობით პირველ ხუთეულში არიან ლიეტუვა და მოლდოვა. ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ნორვეგიაშია 65,4 პატიმრით ყოველ 100.000 მოსახლეზე. ევროსაბჭოს ანგარიშის თანახმად, საქართველოში 2018 წლის მონაცემებით, 9.407 პატიმარია, მათ შორის არიან ისინიც, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებიან.

ამასთან, ანგარიშში წერია, რომ 2016 და 2018 წლებში ევროპაში პატიმრების რაოდენობა 6.6%-ით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 100.000 მოსახლეზე უკვე საშუალოდ 102.5 პატიმარი მოდის.

იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფლების აღკვეთის შემთხვევები ყველაზე მეტად შემცირდა, პირველ ადგილზეა რუმინეთი, სადაც 16%-ით შემცირდა პატიმართა რაოდენობა.

მას მოჰყვებიან ბულგარეთი 15%-ით და ნორვეგია 11,6%-ით.

ბათუმის ციხეში 3-მა პატიმარმა მავთული ხელებში გაიყარა და ერთმანეთს გადაეება

ბათუმის ციხის ერთ საკანში მყოფმა მსჯავრდებულებმა მავთული ხელში გაიყარეს და ერთმანეთს გადაებნენ.

პატიმრები ციხეში არსებულ მძიმე პირობებზე საუბრობენ და შველას ითხოვენ.

წერილში, რომელიც პატიმრებმა ციხიდან გამოგზავნეს, დეტალურადაა აღწერილი, რა პირობებში იმყოფებიან პატიმრები და რამ გამოიწვია პროტესტის უკიდურესი ფორმა.

– ისინი ითხოვენ წყალს, ვენტილაციას, ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას, წამლებს. აპროტესტებენ უსაფრთხოების სამსახურის კონკრეტული თანამშრომლების უხეშ მოქცევას, რის გამოც იქმნება კონფლიქტი და შემდეგ პატიმრები ე.წ. დეესკალაციის ოთახში განმარტოებით გადაჰყავთ, – ამბობს ადვოკატი თეონა ნიკოლაიშვილი.

მისი აღწერით, ბათუმის ციხის ერთ საკანში მყოფი სამი პატიმარი ერთმანეთს მავთულით 30 მარტს გადაება. მავთული პატიმრებმა ხელებში გაიყარეს.

– ერთ-ერთმა პატიმარმა მავთული ყელშიც გაიყარა. ლეიბი იატაკზე აქვთ დაგებული და ისე იძინებენ. ეს ის პატიმრები არიან, რომლებსაც რამდენიმე დღის წინ ციხეში სასმელი წყლის პრობლემაზე ჰქონდათ პრეტენზია, – ამბობს თეონა ნიკოლაიშვილი.

ბათუმის ციხეში სასმელი წყლისა და ვენტილაციის პრობლემაზე „ბათუმელები“ 28 მარტს წერდა.

პატიმრების თქმით, განსაკუთრებით გაუსაძლისი უწყლოდ ყოფნა ე.წ. დეესკალაციის ოთახშია, სადაც ფანჯარა ჩაცემენტებულია, ხოლო ვენტილაცია ხშირად გამორთული. განმარტოებით მყოფი პატიმარი დეესკალაციის ოთახშია, სადაც საპირფარეშო იზოლირებული არ არის. მაშინ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტმა, პაატა დიასამიძემ, რომელმაც პატიმრები ამ მდგომარეობაში უშუალოდ ნახა, ეს ვითარება არაადამიანურ მოპყრობად შეაფასა. ციხეში წყლის პრობლემის არსებობა იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურმა სამსახურმაც დაადასტურა.

ადვოკატ თეონა ნიკოლაიშვილის შეფასებით, პატიმრები დეესკალაციის ოთახში გადაჰყავთ არა მხოლოდ მაშინ, როცა უსაფრთხოების კუთხით პრობლემა არსებობს, არამედ დასჯის მიზნითაც, რაც კანონით დაუშვებელია.

მისივე თქმით, პატიმრებმა საერთო საჩივრითაც მიმართეს სასჯელაღსრულების დაწესებულებას.

– მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. უცნობია, რატომ არ გადაიყვანეს ეს პატიმრები დეესკალაციის ოთახში. ეს ოთახი რეალურად იმ პატიმრებისთვისაა, ვინც საფრთხეს უქმნის საკუთარ ჯანმრთელობას. ჩემთვის უცნობია ციხის ადმინისტრაციის რეაგირების შესახებ, – გვითხრა თეონა ნიკოლაიშვილმა.

ბათუმელები

სამეგრელოში 70.580 ღერი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონში, სოფელ რუხში და წალენჯიხის რაიონში, სოფელ ფახულანში, განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების შედეგად, აქციზური მარკის სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული უაქციზო სიგარეტის (ჯამში 47.980 ღერი) შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი.

მისივე ცნობით, საქმეთა მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა.

ნატო 70 წლისაა

ჩრდილოატლანტიკური ბლოკი ნატო დღეს 70 წლიან იუბილეს აღნიშნავს.

ის 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა. მაშინ ნატოს ამოცანა საბჭოთა აგრესიის შეკავება იყო. როგორც ცნობილია, სტალინმა თეირანში, იალტასა და პოტსდამში მიცემული პირობა დაარღვია და აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფალი არჩევნების ჩატარების ნაცვლად კომუნისტური, ტოტალიტარული და პრორუსული რეჟიმები დაამყარა. ნატო იყო გარანტი იმისა, რომ საბჭოთა აგრესია დასავლეთ ევროპაზე არ გავრცელებულა. შემდგომში ნატომ ცივი ომის მესამე მსოფლიო ომში გადაზრდა არ დაუშვა და ამით კაცობრიობას გლობალური კატასტროფა ააცილა.

გავიდა წლები. ცივი ომი დამთავრდა. მიუხედავად ამისა, ნატომ პოზიციები კვლავაც შეინარჩუნა. ის იმდენად ეფექტური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი გახდა, რომ მისი არსებობა ჰაერივით იყო აუცილებელი. ეს განსაკუთრებით რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინის არჩევის შემდეგ გამოჩნდა, როცა დაიწყო ევრაზიული კავშირის ფორმირება, სამხედრო აგრესია საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ. ამას ცივი ომის რეანიმაცია მოჰყვა. ნატომაც უდიდესი მასტაბილიზირებელი როლი შეასრულა.

პრეზიდენტი ტრამპი თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში ნატოს სასტიკად აკრიტიკებდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ის დარწმუნდა, რომ ნატო აუცილებელია. ალიანსიც იზრდება და ფართოვდება.

არსებობს უთანხმოებებიც. თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანის მოქმედება ბევრს აღიზიანებს. ასევე გამაღიზიანებელია იტალიის ხელისუფლების პოპულისტური პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, შეკითხვაზე, ნატოდან გახვალთ თუ არაო, ერდოღანმაც და იტალიის პრემიერმა კონდემაც მიუგეს:

– არავითარ შემთხვევაში!

დღეს ნატოს ამოცანა რუსული აგრესიის განეიტრალება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაა. უმთავრესი ყურადღება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტისკენაა მიპყრობილი. აშშ-ის წარმომადგენელმა ნატოში ჰატჩინსონმა განაცხადა:

– ალიანსი შავ ზღვაზე რუსეთის ახალ პროვოკაციებს არ დაუშვებს!

მან აღნიშნა, რომ ნატო შავ ზღვაზე ახალ გემებს და ვერტმფრენებს გაგზავნის, რათა ქერჩის სრუტეში უკრაინული გემების გავლა უზრუნველყოს.

რუსეთის მიმართ ასეთი მკვეთრი განცხადება ნატოს წარმომადგენლის მიერ შემთხვევითი არაა. პუტინის რუსეთმა ახალი ცივი ომი გააჩაღა. მშვიდობის შენარჩუნებაც ყოფილ სსრკ-ს რესპუბლიკებისადმი სრული მხარდაჭერითაა შესაძლებელი. უკრაინა ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ტიმოშენკო ზელენსკის მხარს არ დაუჭერს

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა იულია ტიმოშენკომ საპრეზიდენტო არჩევნებს ფარსი უწოდა. მისი აზრით, არჩევნები გაყალბდა. მიუხედავად ამისა, ის სასამართლოში ჩივილს არ აპირებს.

– უკრაინა ომის მდგომარეობაშია! ასეთ პირობებში სასამართლოში ჩივილი და ზედმეტი აჟიოტაჟი ქვეყნისთვის საზიანოა, – განაცხადა მან.

ტიმოშენკომ ასევე უარყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მეორე ტურში ზელენსკის დაუჭერს მხარს.

– ზელენსკი, რასაკვირველია, პრორუსი არაა, მაგრამ არც პოლიტიკისა გაეგება რაიმე, არც სახელმწიფო მანქანას იცნობს! ის ქვეყნის წინაშე მდგარი უმწვავესი პრობლემების გადაჭრას ვერ შეძლებს! მეც მას მხარს ვერ დავუჭერ, – თქვა ტიმოშენკომ.

ჟანლეიდროსკოპი

ბრიტანელმა პატიმარმა „ძაღლის საჭმლის“ ფოტოები გამოაქვეყნა

ინგლისის ჩეშირის საგრაფოს ქალაქ უორინგტონში მდებარე ციხის პატიმარმა გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომელზეც ციხის „საშინელი კერძებია“ აღბეჭდილი. მობილური ტელეფონით გადაღებული სურათები ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

პატიმრის თქმით, მათ ძაღლებზე უარესად კვებავენ და ურჩევნია იშიმშილოს, ვიდრე ეს კერძები ჭამოს. მისი თქმით, საუზმეზე მათ ომლეტს აძლევენ, სადილსა და ვახშამზე სთავაზობენ ლობიოს, მაკარონითა და ქათმის კოტლეტით, ზოგჯერ პიცის პატარა ნაჭერს, თევზს ან ღვიძლს კარტოფილი ფრით აძლევენ.

ჟურნალისტებმა აღნიშნული ფოტოსურათები დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს გადაუგზავნეს. სამინისტროს წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ სურათებზე წარმოდგენილი კერძები ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს და დაამატა, რომ პატიმრებს დღეში სამჯერ ჯანსაღი საკვებით კვებავენ. ასევე მათ აძლევენ ხილს და ბოსტნეულს.

თუმცა ამავე დროს სამინისტრომ ამ შემთხვევის შემოწმება დაიწყო, ვინაიდან საპატიმროში მობილური ტელეფონით სარგებლობა იკრძალება. სურათების ავტორი დაისჯება, შესაძლოა მას პატიმრობის ვადა გაუხანგრძლივდეს.

დედამ პუმას შვილი პირიდან გამოგლიჯა

კანადელმა ქალბატონმა თავისი შვიდი წლის ბიჭის აგრესიული პუმას თავდასხმისგან დაცვა მოახერხა.

ინციდენტი მარტის ბოლოს პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის კუნძულ ვანკუვერზე მდებარე პატარა ქალაქ ლეიკ-კოვიჩანში მოხდა. ჩელსი ბრომლიმ თავისი შვილი ზაკი ეზოში სათამაშოდ გაუშვა. მოგვიანებით მას ბავშვის ყვირილი მოესმა, სახლიდან გამოვარდა და ახალგაზრდა პუმა შენიშნა, რომელსაც მისი შვილი მიწაზე ყავდა წაქცეული. მტაცებელს პირი ბავშვის ხელისთვის ჰქონდა ჩავლებული.

ზაკის მამამ კევინ ბრომლიმ მომხდარის დეტალებზე ისაუბრა.

– ჩელსი პუმას ზურგზე დაახტა, მაგრამ ის ჩვენი შვილის ხელს პირს არ უშვებდა. მას მტაცებლის ყბების საკუთარი ხელებით გახსნა მოუწია, – ამბობს კევინი. მან აღიარა, რომ ორი-სამი წამის განმავლობაში ვერაფერს ახერხებდა, შემდეგ კი ჩელსიმ დაიძახა „მიშველეთ“ და პუმა გაიქცა. ყველგან სისხლის კვალი იყო.

სასწრაფო დახმარების ექიმები ადგილზე შვეულმფრენით ჩაფრინდნენ და ზაკი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას თავისა და ხელის არეში ნაკერები დაადეს. დედა არ დაშავებულა, მას სხეულზე მხოლოდ მსუბუქი ნაკაწრები აღენიშნება.

მოგვიანებით კუნძულის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტბა კოვიჩანის მახლობლად ორი ახალგაზრდა პუმა დაიჭირეს და მოკლეს. სპეციალისტებმა მათი შესწავლა დაიწყეს იმის გასარკვევად, ხომ არ გახდა ცხოველების აგრესიის მიზეზი რაიმე დაავადება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტრამპმა პუერტო-რიკოს ხელისუფლება გააკრიტიკა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პუერტო-რიკოს ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ პუერტო-რიკომ ქარბორბალა „ირმას“ შემდეგ აშშ-განზღაპრული თანხა, 91 მილიარდი დოლარი, მიიღო. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ფული არადანიშნულებისამებრ დაიხარჯა. ნაწილი პუერტო-რიკოს ხელისუფლებამ მიითვისა, ნაწილი არაეფექტურად დახარჯა.

– პუერტო-რიკოს ხელისუფლება კორუმპირებული და არაკომპეტენტურია, – ამბობს ტრამპი.

ნეტანიაჰუ პუტინს შეხვდება

ისრაელის პრემიერი ნეტანიაჰუ ტელეფონით ვლადიმერ პუტინს დაუკავშირდა.

საუბრის ძირითადი თემა სირია იყო.

დიქტატორი ასადი, რომელსაც რუსეთი მხარს უჭერს, ჯერჯერობით პოზიციებს იმყარებს, რაც ისრაელის შეშფოთებას იწვევს. ნეტანიაჰუმ ეს პუტინს პირდაპირ განუცხადა.

რუსეთის პრეზიდენტმა ისრაელის პრემიერი მოსკოვში დაპატიჟა. ნეტანიაჰუ მოსკოვს ისრაელის არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე ეწვევა. ის პუტინს შეხვდება.

ალჟირის პრეზიდენტი გადადგა

ალჟირის პრეზიდენტი ბუტაფიკა გადადგა.

მასობრივი აქციები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით კარგა ხანს მიმდინარეობდა. ბუტაფიკამ განაცხადა, რომ 28 აპრილს გადადგება. ხალხი ამან არ დააკმაყოფილა. პრეზიდენტიც იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

პრეზიდენტის მოვალეობას დროებით პარლამენტის სპიკერი შეასრულებს, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები კი 90 დღის განმავლობაში გაიმართება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უყურადღებობამ ამერიკელს ათასობით დოლარი მოაგებინა

აშშ-ის მცხოვრებმა შეცდომა დაუშვა ლატარიის ბილეთში და 13,6 ათასი დოლარი მოიგო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

კანზასის შტატის ქალაქ უიჩიტოს მკვიდრმა რიკ ფორმანმა აღიარა, რომ ვირტუალურ დოღში მონაწილეობდა.

– მინდოდა მეცადა. ავიღე სათამაშო ბარათი და ოთხი დოლარი დავდე ერთ გარბენზე, – იხსენებს მამაკაცი, – მაგრამ შეცდომა დავუშვი და ათი გარბენი ავიღე.

აზარტული თამაშების მოყვარულმა გადაწყვიტა თამაშში ცვლილება არ შეეტანა და მონაწილეობაში 40 დოლარი გადაიხადა. შედეგად ფორმანმა მსხვილი ჯეკპოტი მოხსნა.

– მეოთხე გარბენი ჩემთვის იღბლიანი გამოდგა. შეცდომა რომ არ დამეშვა, ვერც გამარჯვებული გავხდებოდი, – აღიარა ფორმანმა.

მოგებული თანხით მამაკაცი ვალების გასტუმრებას, ხოლო დანარჩენი თანხის სამომავლოდ გადადებას აპირებს.

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

გიორგი ხარაიშვილი: „ნაკრებში ადგილი უნდა დავიბრუნო“

ქართველი ფეხბურთელი გიორგი ხარაიშვილი გასულ სეზონში შვედური გიოტებორგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 23 წლის ნახევარმცველზე არა მარტო სკანდინავიაში, არამედ ევროპაშიც საუბრობენ და იყო ხმები, რომ მისით ჰოლანდიური აიაქსია დაინტერესებული.

ხარაიშვილის ინტერვიუ შვედურ მედიასთან სწორედ ამ თემით იწყება.

გიორგი ხარაიშვილი:

– ბევრის თქმა არ შემიძლია. ყველას სურს, რომ კარიერაში ნაბიჯი წინ სწორ დროს გადადგას. ვნახოთ, რა იქნება.

– წინასასეზონო მატჩებში გიოტებორგის გულშემატკივრები თქვენი შესრულებული პენალტებითა და საჯარიმო დარტყმებით არ იყვნენ კმაყოფილნი.

– ფორმაში ჩასადგომად დრო ყოველთვის მჭირდება, მაგრამ ახლა 100 პროცენტით მზად ვარ, მთავარი ესაა. ამხანაგურ შეხვედრებში თამაში ოფიციალურ მატჩებს არ ჰგავს. მთავარია, როგორ ვთამაშობ ჩემპიონატში.

– ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდი?

– არა, ყველამ იცის, რომ გუნდი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი არ არის. ერთი მოთამაშე შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს კონკრეტულ შეხვედრებში, მაგრამ სეზონი მთელმა გუნდმა ერთად უნდა ჩაატაროს.

– როგორ ფიქრობ, რა შანსები აქვს გიოტებორგს ჩემპიონატში?

– ვფიქრობ, კარგი გუნდი გვყავს, პერსპექტიული მოთამაშეებით. მსურს გიოტებორგთან ერთად ევროტურნირებზე ვიასპარეზო. თუმცა ამას წელს მოვახერხებთ თუ არა, არ ვიცი.

– პირადად რა მიზნები გაქვს?

– მინდა ბევრი გოლი გავიტანო და მეტი საგოლე პასი გავაკეთო და ამით გუნდს დავეხმარო. ასევე საქართველოს ეროვნულ გუნდში ადგილი ისევ მოვიპოვო და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშო. რაც მთავარია, მინდა თავით თამაში გამოვასწორო, ეს ჩემი სუსტი მხარეა და ყველამ იცის...

– ვინ არის შენთვის ფეხბურთში მისაბაძი მაგალითი?

– ედენ აზარი ყოველთვის მომწონდა. 10 წლის ასაკიდან, ჩელსი ჩემი საყვარელი კლუბია. აზარი სწორედ ჩემს პოზიციაზე თამაშობს და ის ფანტასტიკური ფეხბურთელია. როდესაც საშუალება მაქვს, ჩელსის მატჩებს ყოველთვის ვუყურებ, თავიდან კი ჩემი კერპი ფრენკ ლამპარდი იყო.

– თქვენმა მეუღლემ შვედეთში ბინადრობის უფლება მიიღო.

– გიოტებორგი მოგვწონს. მე და ჩემი მეუღლე დავდივართ ქალაქში, რესტორანში, ვთამაშობთ ბილიარდს, დავდივართ ტყეში, რომელიც სახლთან ახლოს გვაქვს.

– რის ნაკლებობას განიცდი საქართველოდან შორს?

– ნადირობა ჩემი დიდი ჰობია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება შვედეთში არ შემიძლია, უფლების მიღება აქ რთულია.

– რაზე გირჩევნია ნადირობა?

– ფრინველებზე ნადირობა მიყვარს. საქართველოში მწყერზე ვნადირობთ ხოლმე. იქ 2 თოფი მაქვს და ძაღლი რანგო მყავს. დეკემბერში, როდესაც შვედეთში შესვენება იყო, საქართველოში 5-ჯერ თუ 6-ჯერ ვინადირე, თუმცა მწყერზე ნადირობა მხოლოდ ზაფხულში შეიძლება.

– კარგი მსროლელი ხარ?

– არა მიშავს.

მეექვსე ტურის გოლმწირი დასაწყისი

დინამო (ბთ)-ჩიხურა 0:0

ბათუმი. ანგისა

დინამო (ბთ): ალავიძე, ადამაძე, მელიავა, გაგოშიძე, ჩაღლაძე, ტეიდი (გაფრინდაშვილი 78), ვ.თევდორაძე (რ.ჭანტურია 58), მამუჩაშვილი, ჯანელიძე, რამოსი, საბანაძე (ფლამარიონი 87)

ჩიხურა: ჰამზიჩი, მაისაშვილი, კორიფაძე, ჩიკვაიძე, კაშია (ჩიტეიშვილი 23), მამასახლისი, მახარობლიძე, ლექვთაძე, სარდალიშვილი, ჩიხლაძე (კამლაძე 64), დეკანოიძე (მეგრელიშვილი 84)

მთელი მატჩის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, რამაც მინდვრის საფარი დაამძიმა და თამაში ჭირდა. არადა, ორივე გუნდი ცდილობდა კარგი ფეხბურთი ეჩვენებინა, მაგრამ დატბორილი გრუნტი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

უფრო მეტს მასპინძლები უტევდნენ, განსაკუთრებით შეხვედრის ბოლოს, მაგრამ გოლი ვერ გაიტანეს და ფრეს დასჯერდნენ.

ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია 0:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 კაკაშვილი (58)

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, კომახიძე (კობახიძე 75), უბილავა, სამურკასოვი (ოზბეთელაშვილი 83), შონია, გვალია (არდაზიშვილი 65), ძებნიაური, ჯიქია, სიხარულიძე

ვიტ ჯორჯია: შეროზია, გეთიაშვილი, ჩაკვეტაძე, კიკნაველიძე, ჩიტიშვილი, საჯაია, მოსიაშვილი (ვასაძე 46), კურდღელაშვილი (მუსელიანი 61), მაისურაძე (ლაცაბიძე 67), კაკაშვილი, ღუდუშაური

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, მაგრამ უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

შესვენების შემდეგ გოლი „ვეტერინარებმა“ გაიტანეს – კიკნაველიძე ფლანგზე გაიჭრა, პასი გააკეთა, კურდღელაშვილის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, დამატებაზე კი ყველას კაკაშვილმა დაასწრო.

მალევე სტუმრებს მეორე გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა ღუდუშაურმა ბურთი ძელს გაარტყა.

დარჩენილ დროში მასპინძლები უღიმღამოს უტევდნენ და ზედიზედ მესამე მატჩი წააგეს.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	5	4	0	1	11-6	12
2.დინამო (ბთ)	6	3	1	2	3-3	10
3.დინამო (თბ)	5	3	0	2	11-5	9
4.ტორპედო	5	3	0	2	7-7	9
5.ვიტ ჯორჯია	6	2	2	2	3-3	8
6.ჩიხურა	6	1	4	1	8-5	7
7.სიონი	5	2	1	2	5-9	7
8.ლოკომოტივი	6	2	0	4	8-12	6
9.დილა	5	1	2	2	4-4	5
10.რუსთავი	5	0	2	3	3-9	2

დელტა მეორე ნახევარფინალისტია, ორიც მოგვიანებით გაირკვევა

დელტა-ბათუმი 92:65

(22:18, 25:16, 21:15, 24:16)

გაირკვა თასის გათამაშების კიდევ ერთი ნახევარფინალისტი. ლექსო ლაფანაშვილისა და დავით არწივიძის გაწვრთნილმა დელტამ ბათუმს 92:65 სძლია და მეოთხედფინალური სერია 2:1 მოიგო. დელტას მეტოქე ნახევარფინალში თსუ-ჰიუნდაისა და მგზავრებს შორის გამარჯვებული იქნება.

რაც შეეხება მატჩს: საბოლოო ანგარიშიდან ჩანს, რომ თბილისურმა გუნდმა იოლად იმარჯვა. ასეც იყო: მეტნაკლებად თანაბარი მხოლოდ პირველი პერიოდი იყო, რომელიც დელტამ 22:18 მოიგო, შემდეგ კი ინიციატივას სრულად დაეპატრონა და შეხვედრა ისე ჩაამთავრა, პრობლემა არ შექმნია. მეორე მეოთხედი ლაფანაშვილის გაწვრთნილი გუნდის სასარგებლოდ – 25:16 დასრულდა და დიდი შესვენებისთვის დელტას ლიდერობამ 13 ქულა შეადგინა. თითქმის ანალოგიური სცენარით წარიმართა მეორე ნახევარიც და საბოლოოდ დელტას 27-ქულიანი გამარჯვებაც დაფიქსირდა.

თბილისურ გუნდში 15 ქულით ბომბარდირი გახდა მალკოლმ დრამრაითი, მთლიანობაში კი დელტას 6-მა კალათბურთელმა მიაღწია 10-ქულიან ზღვარს. ბათუმში 13 ქულით და 8 მოხსნით საუკეთესო იყო ლევან ელიაძე.

მგზავრები-თსუ ჰიუნდაი 96:92

(28:28, 9:25, 29:23, 30:16)

თსუ-ჰიუნდაისა და მგზავრებს შორის დაპირისპირება ამ უკანასკნელის გამარჯვებით – 96:92 დასრულდა. არადა, სტუდენტები შეხვედრას დამაჯერებლად იგებდნენ, პირველი ნახევარი სულაც 16 ქულის სხვაობით – 53:37 იმარჯვეს, მაგრამ მეორე ნახევარში მეტოქე გააქტიურდა, რასაც გუნდის ძირითადი გამთამაშებლის, მარკუს პოზლის 2 არასპორტული ჯარიმა და, შესაბამისად, გაძევება მოჰყვა. მგზავრებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს, მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს და ახლა გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო გუნდის კაპიტანი კახაბერ ჯინჭარაძე იყო, ვინც 29 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა და ორმაგი დუბლი გაიფორმა. სტუდენტებს 26 და 25 ქულით ჯეიმს მილიკენმა და რატკო პეტრიჩმა ულიდერეს.

ტიტები-ოლიმპი 73:80

(22:16, 17:24, 22:9, 12:31)

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარი იყო. მესამე პერიოდის მიწურულს ტიტებმა 15-ქულიანი ლიდერობა მოიპოვეს, რაც თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ ოლიმპმა ბოლომდე იბრძოლა, გუნდური თამაშის წყალობით ჩამორჩენის გაბათილება შეძლო და ბოლო წუთზე 7 ქულითაც დაწინაურდა. დასკვნითი მეოთხედი ოლიმპელებმა 31:12 მოიგეს და მატჩიც სათავისო შედეგით – 80:73 დაასრულეს და ყველაფერი მე-3 მატჩს მიანდეს.

ოლიმპში 18 ქულით ზაკ ტილმენი გამოირჩა, მარკ ოგდენმა კი 17 ქულა მიითვალა. ტიტებში 19 ქულა ჰქონდა ჟოელ ალმეიდას, ხოლო 18 – კაჰიმ რენსომს.

ამ წყვილებში მე-3, გადამწყვეტი მატჩების გამართვის თარიღი უახლოეს დროში დადგინდება.

ვესტბრუკმა 51 წლის წინანდელი შედეგი გაიმეორა

ნბა-ს რეგულარული სეზონის დასრულებამდე სულ მცირე დრო დარჩა, მაგრამ მიმდინარე სეზონში განსაკუთრებულად საინტერესო არაფერი მომხდარა და უცებ ავანსცენაზე რასელ ვესტბრუკი გამოჩნდა.



ვესტბრუკის ოკლაჰომა თანდერსმა შინ ლოს ანჯელეს ლეიკერსი 119:103 დაამარცხა, ხოლო რასელმა სასწაული თამაში გვიჩვენა და გასაოცარი სამმაგი დუბლი შეასრულა – 20 ქულა, 21 პასი და 20 მოხსნა.

უესტბრუკი უილტ ჩემბერლენის შემდეგ გახდა პირველი კალათბურთელი, რომელიც სამმაგი დუბლის გაკეთების დროს ყველა კომპონენტში 20-ს გადასცდა. ჩემბერლენმა 1968 წელს 22 ქულა, 25 პასი და 21 მოხსნა მიითვალა.

ეს სამმაგი დუბლი მიმდინარე სეზონში 31-ე გამოდგა ვესტბრუკისთვის, მაგრამ საუკეთესო მაჩვენებელი მაინც არ არის. თუმცა, რასელს შეუძლია თავი დაიმშვიდოს, რადგან მასვე ეკუთვნის სეზონში სამმაგი დუბლების რეკორდული რაოდენობა – 42.

გრინდელი გადადგა, მას ლამი შეცვლის?

გერმანიის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი რაინჰარდ გრინდელი თანამდებობიდან გადადგა. გერმანული მედია მას კორუფციაში სდებდა ბრალს. არადა, საუბარი არც ისე სოლიდურ თანხებზეა.

მიმდინარე წლის 29 მარტს შპიგელმა გამოაქვეყნა მასალა, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებაზე იყო აგებული. სტატიაში ეწერა, რომ 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის ივლისამდე გრინდელმა 78.000 ევრო ფედერაციასთან ასოცირებულ 2 მედია სამსახურს გადაურიცხა და არავინ იცის, რატომ. ამ თანხაზე არც დეკლარაციაში იყო საუბარი.

მეორე ბრალდება კიდევ უფრო სასაცილოა. გრინდელმა არ განაცხადა 6.000 ევროს ღირებულების საათის შესახებ, რომელიც მას 2017 წელს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ბიზნესმენმა გრიგორი სურკისმა აჩუქა. არადა, სურკისს იმ პერიოდში უეფას პრეზიდენტობა სურდა და, შესაძლოა, ეს ჟესტი ქრთამიც კი ყოფილიყო ხმების სანაცვლოდ. თუმცა, გრინდელის განცხადებით, მან არ იცოდა საათის ღირებულება და ეს საჩუქარი პოლიტიკური ჟესტი არ ყოფილა.

რაინჰარდ გრინდელი:

– სურკისს არ აქვს ისეთი ეკონომიკური ინტერესები, რომელიც გერმანიის ფეხბურთის კავშირს უკავშირდება. მას არასდროს უთხოვია ჩემგან დახმარება. იმ დროს უკვე ცნობილი იყო, რომ ის უეფას აღმასკომში კენჭისყრას არ აპირებდა. არ მიმაჩნია, რომ სახეზე ინტერესთა კონფლიქტი გვაქვს.

თუმცა, მე ვტოვებ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის პოსტს და ბოდიშს ვიხდი იმისთვის, რომ არასამაგალითო ქცევით (საჩუქრის სახით საათის მიღებით) საფეხბურთო მაღალჩინოსნების შესახებ არსებული სუბიექტური აზრი გავამყარე.

გრინდელის მიმართ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არაერთი პრეტენზია არსებობდა. კერ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

2 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ვულვზი-მანჩესტერი 2:1
უოტფორდი-ფულემი 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	32	24	7	1	72-19	79
2.სიტი	31	25	2	4	81-21	77
3.არსენალი	31	19	6	6	65-39	63
4.ტოტენჰემი	31	20	1	10	58-34	61
5.მანჩესტერი	32	18	7	7	61-43	61
6.ჩელსი	31	18	6	7	52-34	60
7.ვულვზი	32	13	8	11	40-39	47
8.უოტფორდი	32	13	7	12	47-47	46
9.ლესტერი	32	13	5	14	42-43	44
10.ვესტ ჰემი	32	12	6	14	41-48	42
11.ევერტონი	32	12	7	13	45-42	43
12.ბორნმუთი	32	11	5	16	43-58	38
13.კრ.პალასი	31	10	6	15	38-41	36
14.ნიუკასლი	32	9	8	15	31-42	35
15.ბრაიტონი	30	9	6	15	32-43	33
16.საუთჰემპტონი	31	8	9	14	35-50	33
17.ბარნლი	32	9	6	17	37-59	33
18.კარდიფი	31	8	4	19	28-59	28
19.ფულემი	33	4	5	24	30-76	17
20.ჰადერსფილდი	32	3	5	24	18-59	14

ინგლისი. ჩემპიონლიგა

მიდლსბრო-ბრისტოლი 0:1
სუონსი-ბრენტფორდი 3:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ატლეტიკო-ხირონა 2:0
ესპანიოლი-ხეტაფე 1:1
ვილიარეალი-ბარსელონა 4:4

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	30	21	7	2	79-31	70
2.ატლეტიკო	30	18	8	4	45-19	62
3.რეალი	29	18	3	8	52-34	57
4.ხეტაფე	30	12	11	7	37-27	47
5.ალავესი	29	12	8	9	31-35	44
6.ვალენსია	29	9	16	4	31-23	43
7.სევილია	29	12	7	10	47-37	43
8.ბილბაო	29	9	13	7	30-32	40
9.ბეტისი	29	11	7	11	33-37	40
10.სოსიედადი	29	9	10	10	34-34	37
11.ეიბარი	29	8	12	9	38-40	36
12.ლეგანესი	29	9	9	11	29-34	36
13.ესპანიოლი	30	9	8	13	33-44	35
14.ხირონა	30	8	10	12	32-41	34
15.ლევანტე	29	8	8	13	40-51	32
16.ვილიარეალი	30	6	12	12	38-43	30
17.ვალიადოლიდი	29	7	9	13	24-40	30
18.სელტა	29	7	7	15	39-49	28
19.რაიო	29	6	6	17	31-52	24
20.უესკა	29	5	7	17	30-50	22

გერმანია. თასი

პადერბორნი-ჰამბურგი 0:2
აუგსბურგი-ლაიფციგი ..... 1:2 (დდ)

იტალია. სერია ა

მილანი-უდინეზე 1:1
კალიარი-იუვენტუსი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	30	26	3	1	62-19	81
2.ნაპოლი	29	19	6	4	56-24	63
3.ინტერი	29	16	5	8	43-25	53
4.მილანი	30	14	10	6	44-28	52
5.ატალანტა	29	14	6	9	60-40	48
6.ლაციო	28	14	6	8	42-29	48
7.რომა	29	13	8	8	53-43	47
8.სამპდორია	29	13	6	10	50-38	45
9.ტორინო	29	11	12	6	38-27	45
10.ფიორენტინა	29	8	14	7	44-36	38
11.ჯენოა	29	8	9	12	34-44	33
12.კალიარი	30	8	9	13	28-42	33
13.პარმა	29	9	6	14	31-47	33
14.სასუოლო	29	7	11	11	40-49	32
15.სპალი	29	7	8	14	26-42	29
16.უდინეზე	29	7	8	14	27-41	29
17.ბოლონია	29	6	9	14	27-43	27
18.ემპოლი	29	6	7	16	36-55	25
19.ფროზინონე	29	3	8	18	21-54	17
20.კიევო	29	1	11	17	21-57	11

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ბენევენტო-კარპი 3:1
ვენეცია-ჩიტადელა 1:1
ვერონა-ბრეშა 2:2
კროტონე-პერუჯა 2:0
ლივორნო-კრემონეზე 1:3
პადოვა-ასკოლი 1:2
სპეცია-სალერნიტანა 2:1

საფრანგეთი. თასი

ლიონი-რენი 2:3

ჰოლანდია. ეროვნული ჩემპიონატი

ვიტესი-ალკმაარი 2:2
ერაკლესი-ტილბურგი 3:4
გრონინგენი-გრაააფსხაპი 1:0

პორტუგალია. თასი

ბრაგა-პორტუ 1:1

ბელგია. 1 დივიზიონი

ანტვერპენი-გენკი 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კრაკოვია-კორონა 2:1
სლასკი-ლეგნიცა 0:0
არკა-ლეხია 0:0
ზაგლებიე-გურნიკი 1:1

უკრაინა. პრემიერლიგა

კარპატი-ვორსკლა 4:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გოგონამ აბაზანაში ნიანგს კბილები გაუხეხა

ინდონეზიის ქალაქ ტანგერანგში ვიდეოზე გადაიღეს ბავშვი, რომელიც ნიანგს კბილებს უხეხავს.

ვიდეორგოლში ყვითელ საცურაო კოსტუმში გამოწყობილი გოგონა აბაზანაში პატარა ნიანგთან ერთად ზის. ის კბილის საწმენდ საცხს კბილის ჯაგრისზე ათავსებს, შემდეგ რეპტილიას თავზე ხელს ავლებს და მისთვის კბილების გახეხვას იწყებს. ცხოველი არ ინძრევა და მოთმინებით იტანს ამ ყოველივეს.

გოგონას ზურგს უკან, მწვანე ფერის სათლზე გრძელნისკარტიანი ეგზოტიკური ჩიტი ზის, რომელიც ტუკანს წააგავს. ის ყურადღებას არ აქცევს ჰიგიენურ პროცედურებს და თავს მხოლოდ მას შემდეგ ატრიალებს, როდესაც გოგონა ნიანგს ხელში აიყვანს და შემდეგ აბაზანაში აგდებს.

ტაილანდში ტალახში ჩაფლული ექვსი სპლიყვი გადაარჩინეს

ტაილანდის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ეროვნულ ოარკში ექვსი სპლიყვი გადაარჩინეს, რომლებიც ტალახიან ღრმა ორმოდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდნენ.

პარკის თანამშრომლები ტალახში ჩაფლულ პატარა ცხოველებს მარტის ბოლოს გადაადგილებდნენ. რამდენიმე მათგანი ღამით სპლიყვებთან დარჩა, სხვები კი დახმარების მოსაყვანად წავიდნენ.

მეორე დილით პარკის თანამშრომლები სპეციალური იარაღებით დაბრუნდნენ. მათ ოთხი საათი დასჭირდათ, წერაქვებითა და ნიჩბებით ორმოს ერთ-ერთ ნაპირი დაადაბლეს და მშრალი მიწა დაყარეს. მთელი ამ ხნის მანძილზე ტყეში შორიახლოს სპილოების ჯოგი ტრიალებდა, რომელსაც შესაძლოა სპლიყვები განეკუთვნებოდნენ.

როდესაც ყველაფერი მზად იყო, სპლიყვები მისი დახმარებით ორმოდან ამოვიდნენ და ტყეში გაიქცნენ. ორმოს შორიახლოს მხოლოდ ერთი სპლიყვი შეყოვნდა. ის მცირე ხნით ადამიანებისკენ შებრუნდა, მცირე ხანს იდგა და შემდეგ მანაც ტყეს მიაშურა.

კანარის კუნძულების სანაპიროზე მკვდარი ძროხები გამოირიყა

ტურისტებმა კუნძულ ტენერიფეს პლაჟსა და სანაპირო წყლებში მკვდარი ძროხები შენიშნეს.

ორი მამაკაცი ქალაქ ელ მედანოს სანაპირო ხაზის გასწვრივ მიცურავდა, როდესაც მკვდარ ძროხას გადააწყდნენ. ის ნაპირზე ჰიდროციკლების დახმარებით ამოათრიეს, შემდეგ კი ადგილობრივ ნაგავსაყრელზე გადაიტანეს. მეორე ასეთივე შემთხვევა ესპანეთის სანტა-კრუს-დე-ტენერიფეს პროვინციის მუნიციპალიტეტ გრანადილია-დე-აბონაში მოხდა. მესამე ცხოველი კი ტენერიფესა და გომერის კუნძულებს შორის ნახეს.

გაირკვა, რომ საქონელი სამხრეთ ამერიკიდან გემით გადაჰყავდათ. როდესაც ცხოველი კვდებოდა, მას ზღვაში აგდებდნენ. თუმცა საერთაშორისო წესდების თანახმად, ცხოველი, რომელიც ტრანსპორტირების დროს მოკვდება, ჩვეულებრივი ნარჩენების კატეგორიაში გადის. ამიტომ ის ან უნდა დაიწვას, ან უახლოეს პორტში უნდა გადმოიტვირთოს.

ნიგერიელებმა ლონდონიდან პიცა თვითმფრინავით შეუკვეთეს

ნიგერიელები პიცას ლონდონიდან უკვეთავენ, რომელიც ბრიტანულ ავიახაზებს სამიათასი მილის დაშორებით თვითმფრინავით ჩააქვს. ამ ინფორმაციას ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე დაყრდნობით ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

პოლიტიკოსის განცხადებით, ნიგერიის ხელისუფლება აპირებს, ბოლო მოუღოს ამ ახალ „გამაღიზიანებელ ტენდენციას“, ვინაიდან ეს ქვეყნის ეკონომიკას აზიანებს.

მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ მათი ზოგიერთი მოქალაქე ლონდონიდან ბრინჯისა და ტომატის ჩატანასაც უკვეთავს, რითიც საკუთარი მაღალი სტატუსის ხაზგასმას ახდენენ.

პიცა, რომელმაც ჰაერში ექვსი საათი გაატარა, ადგილობრივებს აეროპორტიდან დილით მიაქვთ. ნიგერიელთა თქმით, მათ ქცევაში ცუდს ვერაფერს ხედავენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შიშველმა პოლიციელმა დამნაშავე საუნაში დააპატიმრა

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის გარეუბანში შიშველმა პოლიციელმა ძებნილი დამნაშავე, რომელსაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თავდასხმისთვის პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, დააპატიმრა.

ინციდენტი არასამუშაო დროს მოხდა, როდესაც ორივე დროს საუნაში ატარებდა. ისინი შემთხვევით აღმოჩნდნენ ერთმანეთის გვერდით და იცნეს ერთმანეთი.

– შიშველმა ოფიცერმა უთხრა, რომ მას თავი დაპატიმრებულად უნდა ეცნო, – განაცხადა შვედეთის პოლიციის პრესმდივანმა კარინა სკაგერლინდმა.

ამის შემდეგ პოლიციელმა კოლეგებს დაურეკა, რომლებიც საუნაში მივიდნენ და დამნაშავე წაიყვანეს.

– დაპატიმრება დრამატიზმს იყო მოკლებული, ხოლო დამნაშავეს გაქცევა არ უცდია, – ამტკიცებს სკაგერლინდი.

სპორტი

გრინდელი გადადგა, მას ლამი შეცვლის?

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ძოდ, მედია თავს დაესხა გრინდელს იოაჰიმ ლიოვის მისამართით გაკეთებული განცხადებების გამო, რომელშიც გრინდელი გერმანიის ნაკრების თავკაცს თომას მიულერის, მატს ჰუმელსისა და ჯერომ ბოატენგის არგამოძახების გამო აკრიტიკებდა.

მიმდინარე წლის მარტში გრინდელმა ერთ-ერთ გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუ შეწყვიტა, როდესაც მას ყატარში გასამართ 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ დაუსვეს კითხვა.

გრინდელი ფიგურირებდა მესუთ იოზილის გარშემო აგორებულ სკანდალშიც, როდესაც ფეხბურთელმა მისდამი არასამართლიან დამოკიდებულებაში პირადად გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი დაადანაშაულა. გრინდელმა იოზილს ერდოღანთან გადაღებული ფოტო არ აპატია და კონფლიქტი საბოლოოდ ფეხბურთელის ნაკრებიდან წასვლით დასრულდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობიდან არავინ სცადა გრინდელის დაცვა. ორგანიზაციას დროებითი ვიცე-პრეზიდენტები რაინერ კოხი და რაინჰარდ რაუბალი უხელმძღვანელებენ, ახალი პრეზიდენტის არჩევნები კი სექტემბერში გაიმართება.

გრინდელის შემცვლელად ნაკრებისა და ბაიერნის ყოფილი კაპიტანი, ფილიპ ლამი სახელდება, რომელმაც მოედანს გარეთ თავისი პირველი კარიერული ნაბიჯები უკვე გადადგა – ლამი ევრო 2024-ის კამპანიის წევრია და ამბობენ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის საბჭოს წევრად მალე აირჩევენ.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ასტროპროგნოზი

4 აპრილისთვის

ვერძი – თავი ხელში აიყვანეთ და უარყოფითი ემოციები მოთოკეთ. წარსული წყენა სამუდამოდ დაივიწყეთ. ** კურო** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **ტყუპები** – დღის დევიზია შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – დათრგუნეთ სიამაყე და ეგოიზმი. ეცადეთ, თავი სხვის ადგილას დააყენოთ. ასე სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდებათ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. აპათია გიპყრობთ, ამიტომ მაქსიმალურად დაკავდით საქმით. **ქალწული** – შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად იზრდება. ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. სასიამოვნო ახალ ამბავს შეიტყობთ. **სასწორი** – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მშვილდოსანი** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობაა საჭირო. **თხის რქა** – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიმზადებთ. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **მერწყული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. მშვიდი დღეა. **თევზები** – კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ბრაზილია-პარაგვაის საზღვარზე მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ქართული ტელეკომპანია; 5. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 6. სილამაზის, ბედნიერების, სიყვარულის და სიმდიდრის ღვთაება ინდუიზმში; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. რომის პაპის წერილობითი მიმართვა ყველა კათოლიკესადმი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. კბილების დაავადება; 15. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

თარაზულად: 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო; 4. ქართული სანადიმო სიმღერა; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 9. რუსეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 12. საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში; 16. ძველბერძენი ისტორიკოსი; 17. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 22. მოწინააღმდეგე კამათში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დარიკო; 2. ვენერა; 3. კაზმი; 5. კოლი; 6. ჩიხურა; 8. იშხანი; 11. ხაბიზგინა; 13. ბორჩალო; 14. კათედრა; 15. თაიგული; 19. თული.

თარაზულად: 1. დუბროვნიკი; 4. ოჩოკოჩი; 7. რაზდანი; 9. მარშალი; 10. შხარა; 12. ბიატლონი; 16. ჩიხირთმა; 17. კრაზანა; 18. ხევსურეთი; 20. ნუსხური; 21. რომა; 23. ფართინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პრერია; 2. ოპტიკა; 3. კოქტო; 5. დოღი; 6. კაჭიჭი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. პრელატი; 14. ბალასტი; 15. ფილიპსი; 19. თუნი.

თარაზულად: : 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. ექოლოტი; 9. ტრუიზმი; 10. სარკე; 12. ვესტერნი; 16. ლაგოდეხი; 17. ვერსალი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. ფითი; 22. დანსინგი.

ვიკა კალანდია „ნეტფლიქსის“ სერიალში გამოჩნდება

სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ ცოტნე ცოტაშვილის ცოლის როლის შემსრულებელი მსახიობი ვიკა კალანდია „ნეტფლიქსმა“ ახალ სერიალში მიიწვია, რომელსაც პეტერ ვებერი იღებს.

სასიხარულო ინფორმაცია ვიკას კოლეგამ და მეგობარმა ბახვა ბრეგვაძემ გაავრცელა:

– როგორ მიხარია, რომ პირველად მე ვამბობ ამ ამბავს. ჯერ ეპიზოდური როლით, მაგრამ მაინც ფანტასტიკაა, ძალიან მაგარი და გადასარევი ამბავია, რომ ვიკა კალანდია „ნეტფლიქსის“ ახალ სერიალში გამოჩნდება, რომელსაც პიტერ ვებერი იღებს.

წინ კიდევ დიდი გეგმები და პროექტებია... რომელსაც ხელს ვერაფერი ვეღარ შეუშლის!

ლაშა ღლონტი: „პეტრე ბაგრატიონი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა არც ერთი ცნობილი ქართული სიმღერა“



მომღერალი ლაშა ღლონტი პეტრე ბაგრატიონის პოეზიის მნიშვნელობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მის გარეშე არ იქნებოდა არც ერთი ცნობილი ქართული სიმღერა:

– ეს ადამიანი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა არც ერთი ცნობილი ქართული სიმღერა. ლაღიძის, კახიძის, კვერნაძის, ცაბაძის, ყანჩელის, გურგულიას, ცინცაძის, კერესელიძის და კიდევ ბევრი კომპოზიტორის სასიმღერო შედევრები არ იარსებებდნენ. პეტრე ბაგრატიონის ტექსტზე აჟღერებულ მხოლოდ რამდენიმე სიმღერას ჩამოვთვლი: ლაღიძის „თბილისო“, „დარკვეთელო ქალო“, „ყური უგდე საქართველოს“; ცაბაძის „ჩემო თბილის ქალაქო“, „ვერის უბნის მელოდიები“; კახიძის „შენ დაგეძებ“, „მიზეზი“, „მოვა მაისი“; ყანჩელის „ის აქ არის“, „ჰერიო ბიჭებო“, „მიმინო“; კვერნაძის „გაზაფხულდა აყვავილდა ნუში“; გურგულიას „მე ეს ღამე თბილისო“; ცინცაძის „ბაში-აჩუკის სიმღერა“ და თითქმის ყველა ქართული ყველა დროის მეგაჰიტი!

ინფორმაცია მათთვის, ვინც არ იცის: პეტრე ბაგრატიონი ქართველ მეფეთა პირდაპირი შთამომავალია, საოცრად თავმდაბალი, მხოლოდ გვარის გამო მშობლებიც და თავადაც რეპრესირებული.

ამჟამად იგი დაკრძალულია სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში ქართველ ღირსეულ მეფეთა გვერდით! ესაა ჩვენი ისტორია!

კალეიდოსკოპი

მამაკაცს 54 წელია თმები არ შეუჭრია

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში მცხოვრებ ხანდაზმულ მამაკაცს 5,5 მეტრზე მეტი სიგრძის თმები აქვს.

77 წლის აკა იჩჟენი ამტკიცებს, რომ თმები 50 წელზე მეტია არ შეუჭრია. მან თმების გაზრდა 23 წლის ასაკში გადაწყვიტა, ვინაიდან ამას ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ თვლიდა. მისი თქმით, 1970-იანი წლების ბოლოს მას სამი ათას იუანს სთავაზობდნენ თმების შეჭრაში, მაგრამ უარი თქვა.

გრძელი თმები მამაკაცს ბევრ უხერხულობას უქმნის, თუმცა აკა ამ ყველაფერს უკვე მიეჩვია და არ წუხდება.

– მისთვის ეს სრულიად ნორმალურია, – ამბობს მისი რძალი, – ის სილამაზის სალონში თვეში მინიმუმ ორჯერ მაინც მიდის. იქ მას თავს ბანენ და ვარცხნილობას უკეთებენ. ამ ყველაფერს ორი თუ სამი ადამიანი სამ საათს ანდომებს.

ქალმა ვიდეოზე გადაიღო აკას სილამაზის სალონში ერთ-ერთი ვიზიტი. ვიდეორგოლმა ჩინურ სოციალურ ქსელებში მილიონზე მეტი ნახვა მიიღო. კომენტარებში ინტერნეტ-მომხმარებლები მამაკაცს ურჩევენ გინესის რეკორდების წიგნს მიმართოს, მისი მიღწევის ოფიციალურად დასაფიქსირებლად.

აღსანიშნავია, რომ გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, ყველაზე გრძელთმიან ქალად ჩინელი სე ციუპინი ითვლება, რომლის თმების სიგრძემ 5,627 მეტრი შეადგინა. ანალოგიური ინფორმაცია მამაკაცის რეკორდის თაობაზე არ არსებობს.

სამგლოვიარო განცხადებები

„თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომლები გულწრფელად თანაუგრძნობენ დისტანციის უფროსს, ბატონ **იური დიაკონიძეს** საყვარელი დედის, ქალბატონი

ელენე დავითის ასულ დიაკონიძის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: 6 აპრილს, 14 საათზე, თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბანში.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ნანა ხურითი: „რა ვქნათ? რა?“

სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებულია:

– გავიგეთ, რომ სუნელებში ტყვია აღმოაჩინეს! რესტორნების სამზარეულოებიც დაბინძურებულია! სახლებიც ჯანმრთელობისთვის საშიში მასალით არის შელესილი! პროდუქტებიც არასანდოა! ხორცი, მაწონი, ბოსტნეული და ა.შ. ჰაერი დაბინძურებულია! გავიგეთ! მაგრამ... ისიც გვითხარით, ახლა რა ვქნათ? აპარატები ვიყიდოთ და ვამოწმოთ პროდუქტები თუ შესაბამისი სამსახურები მიხედავენ? თუ არსებობს ასეთი სამსახური რაღა თქმა უნდა. იქნებ სიგარეტზეც ჩაატაროთ კვლევები? თუ ეს წარწერაა საკმარისი „სიგარეტი კლავს“? მაშინ ყველაფერს მიაწერეთ და გააძვირეთ? სუნელს, ხილს, ბოსტნეულს და ა.შ. პანიკაში გვაგდებენ და რა უნდა ვქნათ, იმას არ გვეუბნებიან. რა ვქნათ? რა?

დაღესტანში VI საუკუნის ქართულენოვანი სახარება აღმოაჩინეს



დაღესტანში ხელნაწერთა გაციფრების პროცესში VI საუკუნის ქართულენოვანი სახარება აღმოაჩინეს.

ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალისტებმა უძველეს ხელნაწერს მუშაობის პროცესში მიაკვლიეს.

არაბული ტექსტის შუაში ასომთავრული დამწერლობით შესრულებული ტექსტი გამოჩნდა. ასომთავრული კი დაახლოებით 1000 წლის წინ გამოიყენებოდა.

– ეს ქაღალდი არ ჰგავს არც ერთ მათგანს, რომელსაც 20-წლიანი მუშაობის მანძილზე შევხებივარ, – განაცხადა დაღესტნის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სპეციალისტმა შამილ შიხალიევმა.

მოგვიანებით მან გაარკვია, რომ აღმოჩენილია პალიმფსესტი – პერგამენტზე შესრულებული ხელნაწერი, როდესაც ერთ ტექსტს შლიდნენ და ზემოდან მეორე ტექსტს გადააწერდნენ.

აღმოჩენა ნამდვილად უნიკალურია, თუნდაც იმით, რომ მსგავსი აღმოჩენა დაღესტანში პირველად გაკეთდა.

– ჩვენ ყოველთვის გვქონდა ინფორმაცია, რომ დაღესტანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კავკასიელ ხალხებთან. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებიც, თუმცა ეს აღმოჩენა – წარწერა ქართულ ენაზე კიდევ უფრო ასაბუთებს ამას, – განმარტა შამილ შიხალიევმა.

აღმოჩენასთან დაკავშირებით უკვე საქმის კურსში არიან ქართველი სპეციალისტები. სულ მალე ახლად აღმოჩენილი სახარების ნახვა ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება.

სკოლაში ერთდროულად შვიდი მასწავლებელი დაფეხმძიმდა

ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ გოდარდში მდებარე დაწყებით სკოლაში ერთდროულად შვიდი მასწავლებელი დაფეხმძიმდა.

სკოლის დირექტორის ეშლი მილერის თქმით, ფეხმძიმობის თაობაზე მოკლე დროში 15-დან 7-მა მასწავლებელმა აცნობა. ქალი ამტკიცებს, რომ თავის პრაქტიკაში ასეთ შემთხვევასთან პირველად აქვს საქმე. მილერმა დეკრეტულ შვებულებაში გამსვლელი მასწავლებლების შემცვლელების მოძებნა მოახერხა და იხუმრა, რომ იქნებ ჯობდეს, სკოლის შენობას საბავშვო ბაღი მიაშენონ.

ორმა მასწავლებელმა მარტის ბოლოს ერთი დღის შუალედით იმშობიარა. დანარჩენები სამშობიაროს მომავალში მიაკითხავენ.

– ეს უკვე სასაცილოა. ვფიქრობდი, რომ ბევრნი ვიყავით, როდესაც მხოლოდ სამნი ვიყავით, შემდეგ ოთხნი გავხდით, შემდეგ ხუთნი, და აი, შვიდნი ვართ, ეს უკვე ნამდვილი კომედიაა, – განაცხადა მასწავლებელმა ტარა ჯონსონმა.

საბავშვო მოედანზე დაღვრილმა მჟავამ ორი წლის ბავშვი დააშავა

პოლონეთის სილეზიის მხარის სოფელ ბირიში უცნობმა ბოროტმოქმედებმა საბავშვო მოედანზე ატრაქციონებზე მჟავა დაასხეს.

პოლიციის წარმომადგენლის თქმით, მომხდარის შესახებ მათ სოფლის მცხოვრებმა ქალბატონმა შეატყობინა. მისი ორი წლის შვილი ატრაქციონიდან ჩამოსრიალდა, რომელზეც ქიმიური ნივთიერება იყო დაღვრილი და კანის პირველი და მეორე ხარისხის დამწვრობით საავადმყოფოში აღმოჩნდა. ბავშვს დროულად აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და სახლში გაუშვეს.

სამართალდამცავი ორგანოები აღნიშნული შემთხვევის გამოძიებით არიან დაკავებულები, უცნობი ნივთიერება ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. ხელისუფლების წარმომადგენლები დანაშაულის შესაძლო თვითმხილველების დაკითხვას აწარმოებენ.

სუხიშვილებმა ორთვიანი გასტროლით რეკორდი დაამყარეს

სუხიშვილებმა უკრაინასა და პოლონეთში ჩატარებული ორთვიანი გასტროლით რეკორდი დაამყარეს:

– 61 დღე, 46 ქალაქი, 56 კონცერტი, 130 ათასამდე მაყურებელი, 112 ბისი, 44 სასტუმრო, 100-ჯერ ჩემოდნის ამოლაგება-ჩალაგება, 12725 განვლილი კილომეტრი და მაინც ცოცხლები ვართ! – აცხადებენ სუხიშვილები.

„აუცილებელია ბაგრატზე სარესტავრაციო სამუშაოების დასრულება!“



აცხადებს დეკანოზი ილია ჭიღლაძე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს აქტიური ქმედებებისკენ მოუწოდებს:

– როდემდე უნდა იყოს ბაგრატის კათედრალის სარესტავრაციო პროექტი დაუსრულებელი და დამახინჯებული?!

აუცილებელია ბაგრატზე სარესტავრაციო სამუშაოების დასრულება და დაშვებული ხარვეზების შეძლებისდაგვარად გამოსწორება.

„ბნელა საყდრის“ სამეკლესიან ბაზილიკას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კევლიანში მდებარე VII საუკუნის „ბნელა საყდრის“ სამეკლესიან ბაზილიკას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ეკლესია სოფლის დასავლეთით მდებარეობს ხშირი ტყით დაფარულ მთაზე. ნაგებობა წარმოადგენს სამეკლესიიან ბაზილიკას, ნაგებია რიყის ქვით, ცალკეული არქიტექტურული ელემენტებისათვის შირიმის ქვაა გამოყენებული. შესასვლელი სამხრეთ ეკლესიიდანაა. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდაა, რომლის ღერძზეც თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშია. შუა ეკლესიის გრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რომლებზეც კამარის საბჯენი თაღი იყო გადაყვანილი. სატრიუმფო და კამარის საბჯენი თაღების ქუსლებთან თაროსა და დახრილი სიბრტყისაგან შედგენილი კაპიტელებია. სამხრეთ კედელში სწორკუთხა სარკმელია. ჩრდილოეთ კედელში ორი კარია გაჭრილი, რომელთაგან ერთი შუა ეკლესიას აკავშირებს ჩრდილო ეკლესიასთან, ხოლო მეორე საკურთხეველს სამკვეთლოსთან. სამკვეთლოში, აღმოსავლეთ ნაწილში ერთი სარკმელია. ჩრდილო ეკლესიას აღმოსავლეთით სწორკუთხა ამაღლებული საკურთხეველი აქვს. სამხრეთ ეკლესია გრძელია, გეგმით სწორკუთხა, აღმოსავლეთით ერთი სწორკუთხავე სარკმლით. სამხრეთ ეკლესიის სარკმელს ფასადზე კონქისებური შეღრმავება აქვს, ხოლო შუა ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის თაღი დასრულებულია გადანაკეცებიანი რელიეფური ზოლით.

ეკლესიის დასავლეთით 20 მეტრზე შემორჩენილია კედლის ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა მას წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიად მოიხსენიებდა, თუმცა, ამჟამად იგი ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა მხოლოდ წვენებით კვებით ტვინი დაიზიანა

ისრაელის ქალაქ თელ-ავივში ქალი საავადმყოფოში მას შემდეგ აღმოჩნდა, როდესაც უარი თქვა საყვარელ კერძებზე და მხოლოდ ხილის წვენების მიღებაზე გადავიდა.

დიეტა, რომელიც წყლისა და ხილის წვენებისგან შედგებოდა, ქალს არატრადიციული მედიცინის ექსპერტმა ურჩია, რომელსაც მან თავად მიმართა. ქალი ამ დიეტას სამი კვირის განმავლობაში იცავდა. შედეგად ძალიან გახდა და მისი წონა 40 კილოგრამს ჩამოსცილდა. გარდა ამისა, მას ორგანიზმში წყალ-მინერალების ბალანსი დაერღვა.

ექიმები შიშობენ, რომ სამკვირიანმა წვენების დიეტაზე ყოფნამ, შესაძლოა, ქალის ტვინის გამოუსწორებელი დაზიანება მიაყენა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

4 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6937

ევრო — 3.0175

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5169

100 რუსული რუბლი — 4.1147

ამინდის პროგნოზი 4 აპრილისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

26 მარტიდან

იროდიონ ევდოშვილი

რჩეული მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

22 მარტიდან

იაკობ გოგებაშვილი

შემეცნებითი მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

29 მარტიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

კარდაშიანის დას მეექვსე თითი აღმოაჩნდა

თაყვანისმცემლებმა დებ კარდაშიანებ-ჯენერებს დასცინეს სარეკლამო კომპანიაში ფოტოშოპისთვის, რომელიც რეალითიშოუს „კარდაშიანების ოჯახის“ ახალ სეზონს მიეძღვნა. ფოტოსურათი ინსტაგრამში კიმ კარდაშიანის გვერდზე განათავსეს.

ფოტოსურათებზე თეთრ სამოსში აბრეშუმის ვარდისფერი ზეწრების ფონზეა აღბეჭდილი ხუთივე და მათი დედა კრის ჯენერი.

– ჩვენი ძვირფასი მე-16! ვერ ვიჯერებ, რომ დღეს „კარდაშიანების ოჯახის“ მე-16 სეზონი იწყება, – დაწერა ფოტოს კომენტარში ტელევარსკვლავმა.

კარდაშიანების ხელმომწერებმა უამრავი შეცდომა იპოვეს ფოტოგრაფის ნამუშევარში, რომელმაც კადრს ფოტოშოპის დახმარებით გაუკეთა რედაქტირება. მაგალითად, ისინი გააკვირვა უფროსი დის კორტნის ფეხზე ზედმეტმა თითმა.

– რა დაემართა კორტნის მარცხენა ფეხის ტერფს? მას ექვსი თითი აქვს! – შენიშნეს ინტერნეტ-მომხმარებლებმა.

ხოლო უმცროს დას, მოდელ კენდალ ჯენერს, პირიქით, სხეულის ერთი ნაწილი აკლია.

– სადაა მისი მარცხენა მუხლი? – დაინტერესდნენ კომენტატორები.

ფანები ასევე გაოგნებას ვერ მალავენ ქლოის ფეხებთან დაკავშირებით, რომელიც ფოტოზე საერთოდ არ ჩანს.

– და სად არის ქლოის სხეულის ქვედა ნაწილი? წელის ქვედა მხარე? – დაწერეს სხვა კომენტატორებმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

მამაკაცი მაღაზიაში ქალის სტრინგებს არჩევს და გამყიდველის გასაგონად ამბობს:

– კი მაგრამ, ესენი ხომ საერთო ვერაფერს დაფარავენ. მხოლოდ აი ეს... მასზე მაინც არის ქსოვილის პატარა ნაჭერი.

გამყიდველი:

– უკაცრავად, ეგ იარლიყია.

•••

ექიმის სახლში კანალიზაცია გაიჭედა. გამოიძახა სანტექნიკოსი. სანტექნიკოსი მოვიდა, ერთი-ორჯერ მილს ჩაქუჩი შემოარტყა, საფენი შეცვალა, ხრახნები მოუჭირა და შემდეგ ექიმს ეუბნება:

– მზადაა, ყველაფერი მოგვარებულია, თქვენზე 50 ლარია.

– როგორ თუ 50 ლარი? ხუთი წუთის მუშაობაში? ნეიროქირურგი ვარ, თორმეტი წელი ვისწავლე, მაგრამ ხუთი წუთის მუშაობაში 50 ლარს არავინ მიხდის.

– მერე, რა გინდა, მეც არ მიხდიდნენ, როდესაც ნეიროქირურგი ვიყავი.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ის სცენა თუ გახსოვს ფილმიდან „ძირითადი ინსტინქტი“, სადაც შერონ სტოუნი ფეხს ფეხზე გადაიდებს?

– რა თქმა უნდა!

– აჰა, ეგ გახსოვს და შენს ცოლს დაბადების დღე რომ აქვს, დაგავიწყდა ხო?!

•••

სახლში გვიან დაბრუნებულ ქმარს ცოლი დაეტაკა და ეკითხება:

– სად დაეთრეოდი?

– გიგისთან ვიყავი, „კარტს“ ვთამაშობდით.

– ცრუობ! – უყვირა ცოლმა, ტელეფონი აიღო, გიგის დაურეკა და ეკითხება:

– გიგი, ჩემი ქმარი შენთან იყო?

– რა თქმა უნდა, ის ახლაც ჩემთანაა...

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ცხოვრებაში ერთხელ მხოლოდ ზარმაცები თხოვდებიან...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეიმარმა ვარჯიში დაიწყო

პსჟ-ს ვარსკვლავმა ნეიმარმა ვარჯიში განაახლა. ნეიმარმა ტრავმა 23 იანვარს სტრასბურის წინააღმდეგ მიიღო და მას შემდეგ ის მოედანზე არ გამოსულა. მისი ტრავმა საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა და ნეიმარმა სარეაბილიტაციო კურსი ბრაზილიაში გაიარა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ის მოედანზე და, სავარაუდოდ, ეს აპრილის შუა რიცხვებში მოხდება.

ნეიმარის გარეშე პსჟ-მ უკვე მოახერხა და ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, ამიტომ ნეიმარისთვის ეს სეზონი პრაქტიკულად დასრულებულია და ის, სავარაუდოდ, თავს დიდად არ დაიტვირთავს.

ზიდანი: „რაფაელ ვარანი რეალიდან არ წავა“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ის თავისი წამყვანი ფეხბურთელების გაშვებას არ აპირებს და მათ შორის არის რაფაელ ვარანიც. ზიდანის თქმით, ვარანზე გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება:

– რაც მედიაში იწერება, ყველაფერი ჭორია და ვარანი არსად წასვლას არ აპირებს. მან 8 წელი გაატარა რეალში და აქ ყოველთვის ბედნიერი იყო. არ ვიცი, მსგავსი ინფორმაცია საიდან ვრცელდება.

ვარანის რეალიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია ერთი კვირის წინ გავრცელდა და მის მომავალს ინგლისს უკავშირებენ.

ერნესტო ვალვერდე: „მესიმ ისევ გადაგვარჩინა“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ ვილიარეალთან მატჩის შემდეგ განაცხადა. რომ მის გუნდს ბოლო წუთებზე გაუმართლა და მესი მათ მხსნელად მოევლინათ. ვილიარეალთან შეხვედრა ფრედ 4:4 დასრულდა:

– მატჩი გიჟურად მიმდინარეობდა. იყო მომენტები, როდესაც მშვიდად ვიგებდით, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ჩვენ საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. თითქმის უკვე წაგებული გვქონდა, მაგრამ მესი და სუარესი უდიდესი ოსტატები არიან და მათ გადაგვარჩინეს.

მილანმა საკუთარ მოედანზე უდინეზეს ვერ მოუგო



მილანმა საკუთარ მოედანზე უდინეზეს უმასპინძლა და გამარჯვება ვერ შეძლო.

მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

შეხვედრის შემდეგ მილანის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ განაცხადა, რომ მის გუნდს ისევ დაეწყო დაღმასვლა და უახლოესი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან მილანმა ქულები არ უნდა დაკარგოს:

– სამწუხაროდ, ისევ გვაქვს ცუდი პერიოდი, არადა ახლა ყველა შეხვედრა მნიშვნელოვანია და ქულების დაკარგვა არ შეიძლება. იმედი მაქვს, მომავალ მატჩებში ისევ მოვახერხებთ ფორმის აღდგენას და მნიშვნელოვან ქულებს მოვიპოვებთ.

არსენ ვენგერი: „საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობა ადრე შემომთავაზეს“

არსენალის ყოფილმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ერთ-ერთ ინტერვიუში ძველი დრო გაიხსენა და თქვა, რომ მას არაერთხელ შესთავაზეს საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნა, თუმცა მან უარი თქვა, რადგან არსენალიდან წასვლა არ უნდოდა:

– მაშინ საკლუბო ფეხბურთში ვიყავი და არსენალთან მჭიდრო კავშირი მქონდა. იმდენად მიყვარდა ეს გუნდი, რომ საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნაზეც კი უარი ვთქვი. ამ გადაწყვეტილებას არ ვნანობ, რადგან არსენალი არ უნდა მიმეტოვებინა.

მოამზადა ბექა გოგისაშვილმა

ჯვროსვოხდი ↘



შვეულად: 1. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 2. მთვარიანი ღამე; 3. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 6. სოფლის პოლიციელი ძველად; 8. ზღვისპირა კურორტი; 11. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 13. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 14. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 15. გიგანტური აფრიკული ხე; 19. ესპანელი ფერმწერი.

თარაზულად: 1. ნაყალბევის შექმნა-გავრცელება; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 9. ავადმყოფური სიმპტომების დროებითი შესუსტება; 10. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 12. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, მდიდრული ცხოვრება; 17. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 18. მდგომარეობა ჭადრაკში; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა